# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№11 (9843) 2025 წლის 31 იანვარი, პარასკევი.

ფასი 1 ლარი




## „ქართული ოცნება“ და თეა წულუკიანი იმ გორისანი არიან, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია, მით უმეტეს, როცა მართალი ხარ!!!

ჩვენთვის უფლებამოსილების აღიარება, ცნობა უმნიშვნელოვანესი იყო იმის სათქმელად, რომ თუ ჩვენ არ ვართ არჩეულნი და ვიტყუებით, თუ მილიონ 200 ათასამდე ადამიანი ბუნებაში არ არსებობს და ეს ჩვენ გამოვიგონეთ, მაშინ როგორ შეიძლება ასეთი პარლამენტის თუნდაც ერთ წევრს შენ დაელაპარაკო, სხდომებზე სიტყვით გამოსვლის უფლება მისცე და მერე უღიარო უფლებამოსილება. ესე იგი არ ყოფილა სინამდვილეში პრობლემა. უფრო მეტიც, სხვადასხვა „ტეტ ა ტეტ“ შეხვედრაზე ჩვენ აბსოლუტურად ყველა გვეუბნებოდა, რომ იმის მტკიცებულებები ვერ მივიღეთ, რომ არჩევნები გაყალბდაო, გულისხმობდნენ ჩვენი ექსტრემისტი ოპოზიციის მხრიდან (წარმოდგენილ მტკიცებულებებს), მაგრამ რაკი კითხვის ნიშნებია, ამდენი აურზაური, სჯობს ახალი არჩევნები ჩატარდესო. სამართლიანობისთვის უნდა ვთქვა, რომ იყო მხოლოდ ერთი ადამიანი, „იპიპის“ წარმომადგენელი, ძალიან წონიანი ფიგურა, მან მითხრა, რომ გასაგებია, რომ არ არის მტკიცებულებები, მაგრამ არ მჯერა, რომ (არჩევნები) არ გაყალბდაო. ეს მისი მხრიდან გულახდილი და პატიოსანი ნათქვამი იყო. რაკი მტკიცებულებები არ არის, ყველა ჩუმად თვლის, რომ ჩვენს პარლამენტს ლეგიტიმაციის პრობლემა არ აქვს, ყველა თვლის, რომ ნუღარ გვინდა ამდენი ხმაური და ახალი არჩევნები გავაკეთოთო!

ეს ასე არ ხდება. ჩვენი ქვეყანა სათამაშო არ არის. ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი სისხლით არის მოპოვებული და ჩვენ პირველ რიგში ამას ვცემთ პატივს, ჩვენს ამომრჩეველს და საკუთარ თავს.

აღიარეს უფლებამოსილება? – აღიარეს. დააყენა ბრიტანულმა დელეგაციამ ჩვენი ოპოზიციის წაქეზებით კენჭისყრაზე, რომ არ ეცნოთ ჩვენი („ქართული ოცნების“) უფლებამოსილება? – დააყენა. ჩავარდა და ჩაფლავდა? – ჩაფლავდა. ასე რომ, ამ მხრივ, ვართ თუ არა ლეგიტიმური დელეგაცია, კითხვის ნიშანი ვეღარ გაჩნდება. სანამ ეს ყველაფერი გადაივლის და ყველა, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მისცა ხმა აქ (ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში), დამშვიდდება, დაწყნარდება, დასერიოზულდება, მოისურვებს ფაქტების შესწავლას, მტკიცებულებებით ჩვენთან საუბარს, შემდეგ ჩვენ აქ მონაწილეობას, თუ ეს მოხდება, განვაახლებთ. მანამდე არანაირი აზრი არ აქვს!..

**თეა წულუკიანი,**
საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი.
29 იანვარი, 2025.

## საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია წყვეტს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობას და მუშაობას განაახლებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიცვლება უსამართლო დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის მიმართ!

## როგორ მუშაობს ჯაშუშური ქსელი ქვეყანაში

3

## ყალბისმქმნელი პანდორას ყუთები

## ტვ მთავარი დაიხურა




3

ეთერ კვიტია

## რატომ ეწევიან?

6-7



## იტირებდა ტარიელი წყლისა პირსა, მოსაწევი რომ ჰქონოდა?!

## გვიყვარხარ, აფხაზეთო!

## ძვირფასო მკითხველო!

თქვენთვის კარგად ცნობილი ფინანსური შეჭირვების გამო, 2025 წლის 3 თებერვლიდან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველი ეგზემპლარი საცალო ქსელში ეღირება 1,5 ლარი, სამაგიეროდ, გაზეთი 12-ის ნაცვლად 16 გვერდზე გამოვა და თქვენთვის უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდება.

იმედია ხელს შეგვიწყობთ 107 წლის ყველაზე ქართული, პირუთვნელი,ეროვნული, ერისა და ბერისთვის საჭირო გაზეთის შეუფერხებელ გამოცემაში.

# საქართველოს დელეგაციის ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში



**ირაკლი კობახიძე:**

**30 იანვარს სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს შევხვდი.**

პირისპირ შეხვედრაზე ხაზი გავუსვით ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობას და ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-14 სხდომის ფარგლებში განსახილველ საკითხებზე ვისაუბრეთ.

ყურადღება დაეთმო რეგიონში არსებულ ვითარებას და სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობას. კიდევ ერთხელ დავადასტურე საქართველოს მთავრობის მზადყოფნა, ხელი შეუწყოს დიალოგს და წვლილი შეიტანოს რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის უზრუნველყოფაში, რაც აუცილებელია ქვეყნების შემდგომი განვითარებისთვის.

ასევე ხაზი გავუსვით სხვადასხვა ფორმატში ორ ქვეყანას შორის არსებულ მაღალი დონის დიალოგს და მრავალ სფეროში მჭიდრო თანამშრომლობას, რაც ორმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას უწყობს ხელს.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის მომდევნო სხდომა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შემდგომ გაფართოებას და ამ კუთხით არსებული პოტენციალის სრულად ათვისებას.

სომეხი კოლეგა ოფიციალური ვიზიტით საქართველოში მოვიწვიე.

ჩემი და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, ერევანში ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომაზე, რომელშიც ორი ქვეყნის მთავრობის წევრები მონაწილეობდნენ, განვიხილეთ სხვადასხვა სექტორში ურთიერთობების განვითარების პოზიტიური დინამიკა. ყურადღება დაეთმო სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით შექმნილი შესაძლებლობების ათვისებას, მსხვილ სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ასევე ტურიზმის, ციფრული ეკონომიკისა და სატრანზიტო დერეფნისა განვითარების მნიშვნელობას.

როგორც კომისიის სხდომაზე განვაცხადე, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, იმისათვის, რომ ერთად დავიცვათ ჩვენი ქვეყნების ეროვნული ინტერესები. ჩვენს ურთიერთობას, პარტნიორობას და მეგობრობას აქვს ძალიან მყარი ისტორიული საფუძველი. ეს არის გამორჩეული მეგობრობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ქართველ და სომეხ ხალხებს. ეს ურთიერთობები პოლიტიკური თვალსაზრისით გადაითარგმნა სტრატეგიული პარტნიორობის დეკლარაციის ხელმოწერაში, რაც ახალ ნიშნულზე აიყვანს საქართველოს და სომხეთის თანამშრომლობას და ეს არის ძალიან კარგი საფუძველი იმისათვის, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტად გავაღრმაოთ ჩვენი პოლიტიკური ურთიერთობები, ეკონომიკური და სხვა კავშირები ორ ქვეყანას შორის.

საქართველოსთან სხვადასხვა სფეროში წარმატებულ თანამშრომლობას გაუსვა ხაზი სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა **ნიკოლ ფაშინიანმა.**

კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ ხელი მოვაწერეთ ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის მე-14 სხდომის ოქმს.

**30 იანვარი, 2025.**

---

**ლევან მაჭარაშვილი:**

## როგორც აშშ-ში საღმა აზრმა გაიმარჯვა, ისე გაიმარჯვებს საღი აზრი ბრიუსელში და სტრასბურგშიც!



**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთან დაკავშირებით დროებითი გადაწყვეტილებაა მიღებული, დარწმუნებულები ვართ, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში საღმა აზრმა გაიმარჯვა, ისე გაიმარჯვებს საღი აზრი ბრიუსელში და სტრასბურგშიც, მერე შეუდგება ჩვენი დელეგაცია საპარლამენტო მუშაობას PACE-ში, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ლევან მაჭავარიანმა განაცხადა.**

**„საქართველო ევროსაბჭოს წევრ ქვეყნად რჩება. მათ ცნეს ჩვენი დელეგაციის უფლებამოსილება, უბრალოდ, ამ ყველაფერს მოჰყვებოდა რაღაცა დათქმები, რომლებიც ჩვენთვის არის მიუღებელი. პირველ რიგში, წითელი ხაზი არის ის, რომ გვთხოვენ ახალი არჩევნების ჩატარებას. ჩვენი გადაწყვეტილება ეფუძნებოდა, რა თქმა უნდა, ეროვნულ თავმოყვარეობას, რისი დეფიციტიც, სამწუხაროდ, ჩვენს ოპონენტებს გააჩნიათ. არჩევნები საქართველოში ძალიან მაღალი სტანდარტებით ჩატარდა. დღემდე ვერანაირი მტკიცებულება ვერ მოიტანეს, რომ იყო 300 ათასი ხმის გაყალბება. აქ კითხვის ნიშანი არ არსებობს. იქ ვნახეთ ძალიან ბევრი გამომსვლელი, რომლებიც უაპელაციოდ, ყველანაირი მტკიცებულებისა და ფაქტის გარეშე მაინც გვადანაშაულებენ არჩევნების გაყალბებაში და ჩვენგან ახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვენ. შესაბამისად, ჩვენ ფიზიკურად სხვა გზა არ გვქონდა დარჩენილი. ჩვენ ვართ ღირსეული და თავმოყვარე ქვეყანა და გადავდგით ეს ნაბიჯი, ჩვენი სურვილით უარი ვუთხარით. ეს არის დროებითი გადაწყვეტილება, ვინაიდან, დარწმუნებულები ვართ, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმარჯვა საღმა აზრმა, ისე გაიმარჯვებს საღი აზრი, საბოლოო ჯამში, ბრიუსელშიც და სტრასბურგშიც და, შესაბამისად, მერე შეუდგება ჩვენი დელეგაცია საპარლამენტო მუშაობას PACE-ში.**

**ტექნიკური კუთხით, უარყოფითი მხარე, რომ ჩვენ რამეში უკან დავიხიეთ, ასეთი ფიზიკურად არაფერია. რა თქმა უნდა, სჯობდა, დათქმების გარეშე ყოფილიყო ცნობილი ჩვენი დელეგაციის უფლებამოსილება და მუშაობა გაგვეგრძელებინა, ვინაიდან ჩვენ სტრასბურგში დამატებითი ტრიბუნა გვექნებოდა. გასაკვირი არ არის ოპოზიციის ზარ-ზეიმი. ისინი მოწადინებულები იყვნენ, მათი წერილიც და მათი გარე მფარველების აქტიური ჩარევა და მუშაობაც ცხადყოფს, რომ მათი სურვილი და ნატვრა იყო, ჩვენი დელეგაციის უფლებამოსილება PACE-ში არ ეცნოთ. თუმცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ჩვენი დელეგაციის უფლებამოსილება ცნეს, მაგრამ ის დათქმები, რაც ამას მოაყოლეს, არის ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის უხეში უპატივცემულობა, ამას უპასუხოდ ვერ დავტოვებდით. ეროვნული თავმოყვარეობიდან გამომდინარე ვიმოქმედეთ“...**

---

# არც ერთი ნაბიჯი უკან!

**გივი მიქანაძე:**

## ვერანაირი რეზოლუცია, ორმაგი სტანდარტით მიდგომა ვერ დაგვახევინებს იმ პასუხისმგებლობისგან, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე გვაქვს აღებული



**– ერთმნიშვნელოვანია, რომ ვერანაირი რეზოლუცია, ვერანაირი ორმაგი სტანდარტით მიდგომა ვერ დაგვახევინებს უკან იმ პასუხისმგებლობისგან, რომელიც პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე გვაქვს აღებული. ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებთ, რომ არანაირი არჩევნები, საპარლამენტო არჩევნები 2028 წლამდე არ იქნება, მიმდინარე გამოძიებებთან დაკავშირებით კი ყველამ კეთილი ინებოს და პატივი სცეს საგამოძიებო უწყებების საქმიანობას, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებს, დაველოდოთ პროცესებს, რომლებიც ამ გამოძიებასთან არის დაკავშირებული. წინსწრებით, მიზანმიმართულ განცხადებებს ყველა უნდა შეეშვას“.**

**კახა კალაძე:**

## ულტიმატუმით და შანტაჟით ელაპარაკონ მათ, ვისთანაც გასდით!



**ულტიმატუმით და შანტაჟის ენით საუბარი პარტნიორობა არაა და მსგავსი დამოკიდებულება მიუღებელია, – განაცხადა დედაქალაქის მერმა მედიასთან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული პროექტის შესახებ.**

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, მსგავსი ქმედებები არის ულტიმატუმის ენით საუბარი და ეს მეგობრობა არაა.

„თქვენ იცით ჩვენი დამოკიდებულება, ჩვენ არ ვიღებთ არც შანტაჟის ენას, არც ულტიმატუმებს. ჩვენ გვინდა მხოლოდ მეგობრობა, პარტნიორობა. მსგავსი ქმედებები და მსგავსი განცხადებები კატეგორიულად მიუღებელია. ეს მეგობრობა არაა. ულტიმატუმით და შანტაჟით ელაპარაკონ მათ, ვისთანაც გასდით და ვისთანაც გასული აქვთ“!

---

## რობერტ ფიცო განრისხებულია!

**სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის რობერტ ფიცოს განცხადებით, თუ ზელენსკი უკრაინის გავლით გაზის ტრანზიტს არ განაახლებს, სლოვაკეთი ევროკავშირის მიერ კიევისთვის განკუთვნილ ყველა დახმარებას დაბლოკავს.**

**მისი თქმით, საპასუხო ზომების საფრთხე ერთადერთი ენაა, რომელიც უკრაინის პრეზიდენტს ესმის.**

**„მზად ვიყავი, ზელენსკის დავოსში შევხვედროდი. და რა გააკეთა მან? გამომიგზავნა შეხვედრის ოქმი, რომელზეც ხელის მოწერა მომიწია. ჯერ შეხვედრა არ იყო გამართული, მაგრამ პროტოკოლი მზად ჰქონდა. მასში ნათქვამი იყო, თუ რას გავაკეთებდით უკრაინისთვის, მათ შორის, მოიაზრებოდა NATO-ში გაწევრების მხარდაჭერა. გაზის საკითხი იქ ნახსენები საერთოდ არ ყოფილა“, – აღნიშნა რობერტ ფიცომ.**

## უზბეკეთმა რუსეთისა და ბელარუსის საჰაერო სივრცეში ფრენაზე უარი განაცხადა

**უმსხვილესმა უზბეკურმა ავიაკომპანიამ Uzbekistan Airways-მა რუსეთისა და ბელარუსის საჰაერო სივრცეში ფრენაზე უარი განაცხადა,- ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.**

**ინფორმაციის თანახმად, ეს რეგულაცია შეეხება იმ თვითმფრინავებს, რომლებიც უზბეკეთიდან ევროპის მიმართულებით დაფრინავენ.**

**მანამდე ევროპის ნებისმიერ ადგილამდე მისასვლელად ავიაკომპანიის თვითმფრინავებს რუსეთისა და ბელარუსის საჰაერო სივრცეები უნდა გადაეკვეთა, ახლა კი, როგორც ავიაკომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, თვითმფრინავები ევროპაში აზერბაიჯანისა და თურქეთის გავლით მოხვდებიან.**

**Uzbekistan Airways-ში განაცხადეს, რომ ეს ცვლილებები უსაფრთხოების ზომებითა და მარშრუტების ოპტიმიზაციით არის გამოწვეული.**

# SOS!

# ყალბისმქმნელი პანდორას ყუთები







**ცრუპენტელების შენახვა ტელეკომპანიების მეპატრონეებსაც ყელში ამოუვიდათ და ახლა ამ პროცესს ვადევნებთ თვალს მთავარ არხთან დაკავშირებით**




**„მთავარ არხის“ ირგვლივ რამდენიმე თვის წინ დაწყებული დავა შესაძლოა, არხის დახურვის საფუძველი გახდეს. როგორც „მთავარი არხის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ, თანადამფუძნებელი ზაზა ოქუაშვილი ეტაპობრივად ხურავს არხს. განცხადების მიხედვით, „მთავარი არხი“ უკვე გაითიშა ყველა მომხმარებლისთვის, ვინც სიგნალს საქართველოს რეგიონებში ან საზღვარგარეთ სატელიტის საშუალებით იღებდა.**

**არხის ხელმძღვანელობა ამბობს, რომ თებერვლის დასაწყისიდან მათი სიგნალი გაითიშება საკაბელო ტელევიზიების დიდი ნაწილისთვისაც.**

„ზაზა ოქუაშვილის მცდელობით, უკვე ერთი თვეა ეთერში აღარ გადის რეკლამა და არხმა დაკარგა ყველა სპონსორი, რადგანაც გაყიდვების სახლთან კონტრაქტი ამოიწურა, მისი განახლების საშუალებას კი, ისევ ოქუაშვილის მითითებით, მისი დირექტორი, გოგი ქურდაძე არ იძლევა.

„მთავარ არხს“ შეუწყდა რეიტინგების მაჩვენებელთა მიწოდებაც, ჟურნალისტები კი, ძირითად შემთხვევებში, ვეღარ ახორციელებენ პირდაპირ ჩართვებს მოვლენათა ეპიცენტრებიდან, ვინაიდან ჩართვის აპარატების სერვისი გადაუხდელობის გამო აგრეთვე გათიშულია“, – წერია განცხადებაში.

„მთავარ არხზე“ დაპირისპირება დეკემბერში დაიწყო. თუმცა როგორც არხის მენეჯმენტი ამბობს, ეს დაპირისპირება უკვე დიდი ხანია რაც არსებობს, რომელიც საჯარო მხოლოდ ახლა გახდა.

„მთავარი არხის“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა გიორგი გაბუნიამ 11 დეკემბერს გააკეთა განცხადება, რომ არხის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ზაზა ოქუაშვილმა გადაწყვიტა, „მთავარი არხი“ დახუროს. მისი თქმით, ოქუაშვილი აკეთებს იმას, რაც „ძალიან სჭირდება ბიძინა ივანიშვილს“.

თავის მხრივ ბრალდებას ზაზა ოქუაშვილმა 12 დეკემბერს უპასუხა და განაცხადა, რომ მას არ მიუღია ტელეკომპანიის დახურვის გადაწყვეტილება. მისივე თქმით, მისი სურვილია, არხმა შეუფერხებლად განაგრძოს მუშაობა სრული შემადგენლობითა და მენეჯმენტით, „რომელიც არ ეცდება ტელეკომპანიის ხარჯზე პირადი სიმდიდრის დაგროვებას“. ოქუაშვილი ნიკა გვარამიას და გიორგი გაბუნიას არხის გაკოტრებაში და ფულის მითვისებაში ადანაშაულებს.

**„მთავარი არხის“ პრობლემა არის ის, რომ დირექტორებმა – ჯერ ნიკა გვარამიამ და შემდეგ გიორგი გაბუნიამ ტელეკომპანია მიიყვანეს გაკოტრებამდე. მათი საქმიანობა არის მაგალითი, როგორ შეიძლება ამოეფარო მედიას და ძარცვო ტელეკომპანია თანამშრომელთა მოთმინებისა და ქვეყანაში მიმდინარე ვითარების ხარჯზე, გამოიყენო და გადააქციო ტელევიზია საერთაშორისო მასშტაბით მილიონობით დოლარის გათეთრების მანქანად.**

**საზოგადოებას შევახსენებ, რომ მე პირადად ბიძინა ივანიშვილის მიმართ ვაწარმოებ რამდენიმე მიმდინარე საერთაშორისო დავას და კომიკური და ლოგიკას მოკლებულია გიორგი გაბუნიას მიერ ჩემს მიმართ გამოთქმული ცუდად შეფუთული ბრალდება ჩემი ივანიშვილთან რაიმე კავშირის შესახებ. მე, პირიქით, დავსვამდი შეკითხვებს ნიკა გვარამიას უხვი და დაუზრკოლებელი დაფინანსების წყაროებისა და საკითხს „მთავარ ოპოზიციურ პარტიად“ ქცევის შესახებ.**

**როგორც ჩანს, „მთავარი არხის“ ყოფილი და მოქმედი დირექტორები ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ და ამისათვის სამწუხაროდ, შეარჩიეს სწორედ ის მძიმე პერიოდი, რომელიც დღეს საქართველოში დგას“**, - ამბობს ოქუაშვილი.

მისივე თქმით, ნიკა გვარამია „მთავარი არხიდან“ ხელფასის სახით, ყოველთვიურად 80 000-მდე ლარს იღებს.

ამ დაპირისპირების შემდეგ კი ტელევიზიის დირექტორის პოსტი გიორგი გაბუნიამ დატოვა. ასევე, არხი დატოვეს ნანუკა ჟორჟოლიანმა და ლელა წურწუმიამ. ჯერჯერობით გაურკვეველია რა ბედი ელის „მთავარ არხს“.

* * *

**ანალიტიკოსი გია აბაშიძე** for.ge-სთან ამბობს, რომ „მთავარ არხზე“ მიმდინარე პროცესები იმის ნათელი მაგალითია, როგორ შეიძლება მედია პროპაგანდამ და ტყუილების კანტორამ საკუთარი თავი თავადვე ამოჭამოს. აბაშიძე მიიჩნევს, რომ ოქუაშვილსა და გვარამის შორის დაწყებული დავა არახალია. გვარამია ამ ტელეკომპანიიდან კოლოსალურ თანხებს იღებდა და დიდი ოდენობით ფულის გაფლანგვაშია ეჭვმიტანილი.



**„საუბარი ახლა იმაზე, თითქოს ზაზა ოქუაშვილი „ოცნებასთან“ არის შეკრული და ეს პროცესი რაც „მთავარ არხთან“ დაკავშირებით მიდის, ხელისუფლების მხრიდან არის პორვოცირებული, სრული სისულელეა. მისი ოჯახი დღემდე ხელისუფლებასთან არის დაპირისპირებული. რაც შეეხება თავად ოქუაშვილის ბრალდებას, რომ ნიკა გვარამიას ასტრონომიული ხელფასი ჰქონდა, ეს შიდა კულუარებიდანაც დიდი ხანია ცნობილია. ისე, როგორც სხვადასხვა სახის სახელფასო, არარეალისტური განაკვეთები არსებობს. მაგალითად, იგივე ხდება „ფორმულაზეც“ და „ტვ პირველზეც“. იმდენად კატასტროფული სხვაობაა და არარელაურია თანამშრომლების ფინანსური ანაზღაურება და**

გაგრძელება მე-6 გვ.

## ტოლი ნახე, გველო!

**არც მწვადი დაწვა და არც შამფურიო, რბილი ნათქვამია, უფრო მწარედ კი ორმაგ თამაშს ვირეშმაკობა და გაიძვერობა ჰქვია.**

სხვაგვარად ძნელია შეაფასო **ზაზა ოქუაშვილის** განცხადება, რომელიც „მთავარი არხის“ სახელით გამოქვეყნებულ ინფორმაციას ეხმაურება და უშედეგოდ ცდილობს თავი მამა აბრამის ბატკნად მოგვაჩვენოს.

დიახ, ვინაიდან ეს ჩვენი მედროვე ქამელეონი ცალ-ცალკე ვერც ერთ მხარეს ვერ უბედავს საგნობრივ დისკუსიაში გამოწვევას, ადგა და, აქაოდა ერთმანეთში არკვიეთ მტყუან-მართალიო, ორივე ერთ ქვაბში მოსახარშავად გაიმეტა:

**„გვარამია და გაბუნია თავისუფალნი არ არიან თავიანთ განცხადებებში, რადგან არიან ივანიშვილის მძევლები მათ მიერ ჩადენილი უკანონო ფინანსური მაქინაციების გამო, რამაც „მთავარი არხი“ მიიყვანა ხელოვნურ გაკოტრებამდე“;**

**„კიდევ ერთხელ მივმართავ „მთავარი არხის“ 37-პროცენტიანი წილის ნამდვილ მფლობელს, ჩემთან ერთად მიიღოს მონაწილეობა უკანონობის გამოსწორებასა და „მთავარი არხის“ გადარჩენაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დუმილი „ქართულ ოცნებასთან“ გარკვეული გარიგების შთაბეჭდილებას ტოვებს“.**

**„გვარამია – გაბუნიას ეს დემაგოგიური შავი პიარიც ჩემს წინააღმდეგ „ქართული ოცნების“ სარგებელს ემსახურება“.**

და ბოლოს – სიბრიყვის აპოთეოზი:

**„კარგა ხანია ფარდა აეხადა გვარამიასა და ივანიშვილის ხელისუფლებას შორის ფარულ გარიგებას და საზოგადოებას არც ახლა გაუჭირდება სიმართლეში გარკვევა“.**

აბსოლუტურად გეთანხმებით, ბატონო ზაზა – მართლაც, საზოგადოება მოხარშულს გიცნობთ და არც ახლა გაუჭირდება თქვენი ყოველგვარი ფასეულობისაგან დაცლილი გველაძუა პერსონის შეცნობა, რომელიც მედროვის ტიპიურ სახედ უკვე კარგახანია ჩამოყალიბდა.

ერთსაც შეგახსენებთ: სპორტის საბრძოლო სახეობებში შემთხვევით როდია დამკვიდრებული წონითი კატეგორიები. ჰოდა, კეთილი ინებეთ და ტოლი ნახეთ, ხოლო მმართველი პარტიისა და მისი დამფუძნებლის ხსენებისას პირი რამდენჯერმე გამოირეცხეთ, თქვენვე რომ არ შეგეყაროთ ინფექცია.

სხვათა შორის, ობიექტურობის დაცვით ვაღიარებ, რომ იგივე ითქმის დემაგოგიის ვარსკვლავთან – გვარამიასთან დაკავშირებითაც...

**გია პლატონიშვილი**




# როგორ მუშაობს ჯაშუშური ქსელი ქვეყანაში



**სალომე ზურაბიშვილი თვლის, რომ თუ ამერიკა რეგიონში მიმდინარე პროცესებში არ ჩაერთვება, ის რუსეთის ან ჩინეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდება.**

**იყო ჯაშუში, ეს ნიშნავს, რომ ხარ საკუთარი ქვეყნის მტერი. სწორედ ასეთი განსაზღვება აქვს საქართველოს სსკ-ის 314-ე მუხლს – უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის, ან მათი წარმომადგენლისთვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა, გადაცემა, გამოძალვა ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე პატიმრობით.**

დღეს, ქართველი საზოგადოების უმრავლესობა ხელისუფლებისგან ითხოვს 314-ე მუხლის ამოქმედებას და ჯაშუშობის ბრალდებით იმ პირთა დაკავებას, რომლებიც სენატში თუ ბრიუსელში დარბიან და მოქმედებენ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. 28 ნოემბერს დაწყებულმა საპროტესო აქციებმა, რომლის ორგანიზატორი არის რადიკალური ოპოზიცია, აჩვენა, რომ მუხლი ჯაშუშობის შესახებ უნდა ამოქმედდეს.

ჯაშუშის განმარტებას თუ გავითვალისწინებთ, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მოქმედებს ადამიანების ის ჯგუფი, რომელიც ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებს, ინფორმაციებს გადასცემს დიფ სთეითს, რომელიც, თავის მხრივ, ხელისუფლებას სანქციების გამოყენებით აშანტაჟებს. **ჯაშუშები არიან როგორც პოლიტიკაში, ასვე ანალიტიკურ, სამეცნიერო წრეებში თუ კულტურის სფეროში.**

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებების სათავეშია ექსპრეზიდენტი, რომელიც აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას სთავაზობს რუსეთზე ზეწოლა მოახდინოს და საამისოდ საქართველო, როგორც „სათამაშო მოედანი“ გამოიყენოს. ამერიკული გამოცემა **The Hill**-ის ინფორმაციით სალომე ზურაბიშვილი თვლის, რომ თუ ამერიკა რეგიონში მიმდინარე პროცესებში არ ჩაერთვება, ის რუსეთის ან ჩინეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდება.

* * *

**ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი** აცხადებს, რომ ექსპრეზიდენტის განცხადება სკანდალურობასაც სცილდება მნიშვნელოვნად, ვინაიდან აქ ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველო ჩაერთოს ისეთ პროცესებში, რომელიც მას გაასწორებს მიწასთან. ვოლსკის თქმით, თუ ეს დაპირისპირება იარსებებს დასავლეთს, ამ შემთხვევაში აშშ-სა და რუსეთს შორის და ამ დაპირისპირების ასპარეზი, ანუ სათამაშო მოედანი იქნება საქართველო, ეს იქნება დამანგრეველი.

„მისი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთი თუკი ოდესმე გადაწყდა და მოლაპარაკების პროცესში ჩაერთვება, რაც შეიძლება შესუსტებული მივიდეს მოლაპარაკების მაგიდასთან. ერთ-ერთი მიმართულება, ერთ-ერთი სეგმენტი ამ დაპირისპირებისა აშშ-სა და რუსეთს შორის, პირობითად, დასავლეთსა და რუსეთს შორის ყოველთვის იყო საქართველო.

რასაკვირველია, საქართველოს ხელისუფლების რესურსი იმდენი არ არის, რომ ამ დაპირისპირების პროცესში თავისი სამხედრო ძალებით გადაწყვიტოს თუნდაც ოკუპაციის საკითხი. რასაკვირველია, ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, მიმართულია იმისკენ, რომ ოდესმე მომავალში და სხვანაირად ვერც წარმოგვიდგენია კაცობრიობის არსებობა, ოდესმე, მომავალში, დიდი ძალები ერთმანეთთან შეთანხმდებიან.

სანამ ეს პროცესი მიმდინარეობს, საქართველოზე გადმოტანა ამ დაძაბულობისა, ამის სურვილიც კი არის საშინელი დანაშაული საკუთარი ხალხის მიმართ და შინაარს აჩვენებს კონკრეტულად არა მხოლოდ ამ ადამიანის, არამედ ამ ჯგუფის, ამ გუნდის, რომელსაც კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ ჰქვია, ამ გუნდის გარკვეულ პოლიტიკურ კრედოს გამოხატავს“, – აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ.

* * *

**ანალიტიკოსის**, „ხალხის ძალის“ წევრის **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, მისთვის როგორც არაიურისტისთვის და სამართლებრივ საკითხებში დილეტანტისთვის საყურადღებო მომენტია - „საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა“.

„უკანასკნელ წლებში, ე.წ. ოპოზიციის თუ მესამე სექტორის მხრიდან ევროვიზალიბერალიზაციის, კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხებზე, არჩევნებზე დეზინფორმაციის შემცველი თითოეული დოკუმენტი თუ განცხადება, უცხო ქვეყნების დაზვერვის ინტერესებში და ერთმნიშვნელოვნად – საქართველოს ინტერესების საზიანოდ იყო შედგენილი. ბრალდებულთა სია არის მრავალრიცხოვანი, კონკრეტული და უტყუარი მტკიცებულებებით გაჯერებული, მოწმეთა ბაზის ჩათვლით. ველოდებით ამ საქვეყნო საქმის პრაქტიკულ განხორციელებას“, - აცხადებს დავით ქართველიშვილი.

* * *

**ექსპერტი** უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** თავს იკავებს რომელიმე პირის დასახელებისგან, მაგრამ ხაზგასმით აცხადებს, რომ საპროტესტო აქციების დაწყებამდე და აქციების მიმდინარეობისას გამოჩნდა პირთა წრე, რომელთა ქმედებებში რეალურად ჩანს სადაზვერვო პროპაგანდის ნიშნები, როდესაც ისინი ყოველგვარი მყარი მტკიცებულებითი დოკუმენტაციის გარეშე კომპრომეტაციას უკეთებენ საქართველოს ხელისუფლებას და შესაბამისად, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან უცხო არხებზე კომუნიკაციით.

„ანალოგიური ხორციელდება ქვეყნის შიგნითაც. ეს არის უწყვეტი პროცესი, რომელიც, როგორც მშვიდობის, ასევე საომარი მოქმედებების დროს არის აქტიური. მე მაინც ვფიქრობ და პირადად ჩემი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო, ერთადერთ მუხლს, არასოდეს არ შევახებდი ამნისტიას და არასოდეს შევიწყალებდი ადამიანებს, რომლებსაც ჩადენილი აქვთ ასეთი ტიპის დანაშაული, როგორიცაა ჯაშუშობა.

მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვაქვს დახვეწილი სამართლებრივი სივრცე. ჩვენ გვჭირდება ამ სამართლებრივი სივრცის დახვეწა და განსასაზღვრი არის ვადები, როდესაც ადამიანებს, რომლებიც ნასამართლევი არიან ჯაშუშობისთვის, ისინი არ უნდა მოხვდნენ იმ სივრცეში, სადაც მიეცემათ სადაზვერვო პროპაგანდის საშუალება, ანუ ჯაშუშობისათვის არ ექნებათ შექმნილი შესაბამისი პირობები“, - აცხადებს კუხალაშვილი.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში თუ სამართლებრივი სივრცე არ მოწესრიგდა, მუდმივად გვექნება არასტაბილური ოპერატიული ვითარება. ექსპერტი სამწუხაროს უწოდებს იმ ფაქტს, რომ ამ მიმართულებით არ ხდება აქტიური ღონისძიებები და პროცესში კი ისე მალე გადის დრო, რომ რეალურად, დანაშულის სახეობა და მათ შორის ჯაშუშობის კუთხით ქმედებათა ნიშნები გაცილებით იხვეწება.

„შექმნილია ახალ-ახალი მოდელები, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს უმარტივდებათ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ჯაშუშობა და ისინი აღასრულებენ უცხო ქვეყნის ინტერესებს.

რეალურად, დანაშაულის განვითარება ასწრებს იმ სამართლებრივი სივრცის განვითრებას, რომელშიდაც ჩვენ ვცხოვრობთ.

რატომ ხდება ეს ყველაფერი? არსებობს მხოლოდ ერთი პასუხი - ალბათობის მაღალი ხარისხით, ყველას, ვისაც ევალება ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელების გააქტიურება, ვფიქრობ, რომ ისინი საბოტაჟის პროცესში არიან ჩართული. სხვა განმარტება ამას არა აქვს. შესაძლებელია ეს არის მიზანმიმართულად გაკეთებული და შესაძლებელია, რომ ამის იდენტიფიცირება ვერ ხდება როგორც საფრთხის ე.ი. მაინც მივდივართ კომპეტენციის პრობლემასთან. როდესაც კომპეტენციის პრობლემაა, ამ შემთხვევაში მაინც კვლავ ვუახლოვდებით იმ საბოტაჟს, რაზედაც ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია“, – აღნიშნა **for.ge**-სთან საუბრისას დავით კუხალაშვილმა.



**საქართველოში დღესაც მოქმედებს ჯაშუშური ქსელი, რომელიც პოლიტიკურ სპექტრში ოთხი რადიკალური ოპოზიციური პარტიით არის წარმოდგენილი.**

* * *

**შეგახსენებთ, რომ ჯაშუშურ საქმიანობაში ჩართული პოლიტიკოსების წინააღმდეგ საჩივარს ამზადებს და უახლოეს დღეებში გენერალურ პროკურატურაში შეიტანს „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“. როგორც ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, საქართველოში დღესაც მოქმედებს ჯაშუშური ქსელი, რომელიც პოლიტიკურ სპექტრში ოთხი რადიკალური ოპოზიციური პარტიით არის წარმოდგენილი.**

**„დღეს ეს პარტიები და მათი ლიდერები ჯაშუშურ საქმიანობას თავისუფლად აწარმოებენ და საქართველოს მუდმივი რყევის რეჟიმში ამყოფებენ. სწორედ ეს არის მათი მთავარი დავალება - არ დაასვენონ ქვეყანა და სახელმწიფოს აღქმა მაქსიმალურად დააკნინონ. სამწუხაროდ, იმ პირობებში, როდესაც მათ დანაშაულებზე სახელმწიფო პროპორციულად არ რეაგირებს, ხდება ქვეყანაში ჯაშუშობის ლეგალიზება.**

**პოლარიზაციის დაძლევა, ჯანსაღი დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება, გრძელვადიან რეჟიმში ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ქვეყნის პოლიტიკური სისტემა სრულად გათავისუფლდება ჯაშუშებისგან და მასში მხოლოდ ეროვნული, საკუთარი ხალხის ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალები იქნებიან წარმოდგენილი“, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.**

**თამთა ქარჩავა**

# ახალი სახლები სოციალურად დაუცველთათვის

**„ზუგდიდში სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის 9 სახლის მშენებლობა მიმდინარეობს“ – ამის შესახებ ინფორმაციას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ავრცელებს.**

მათივე ცნობით, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ვერავა და ზუგდიდის მერი მამუკა წოწერია, მოადგილეებთან ერთად რუხსა და ახალ აბასთუმანში მიმდინარე სოციალური სახლების მშენებლობის პროცესს ადგილზე გაეცნენ.

**„ნიკოლოზ ნორაკიძის და დედიკა კვარაცხელიას მრავალშვილიანი ოჯახები მალე ზუგდიდის მერიის მიერ აშენებულ სახლებში იცხოვრებენ. ამ დროისთვის მერია 9 სახლს აშენებს. სოციალური სახლების მშენებლობა ზუგდიდის მერიის ექსკლუზიური პროექტია, რომლის განხორციელება 2015 წელს მუნიციპალიტეტმა დაიწყო. 2015 წლიდან დღემდე კი ჯამში მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრებ 160 ოჯახს ახალი სახლი აუშენდა“** – ნათქვამია ინფორმაციაში.







# მუშავდება ფოთის ახალი გენგეგმა

ფოთის განაშენიანების ახალ გენერალურ გეგმაზე მუშაობა დაიწყო. მომავალი 1 წლის განმავლობაში, აღნიშნულ დოკუმენტს არასამთავრობო ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველო“ და საპროექტო კომპანია „სტუდია 9“ ერთობლივად შეიმუშავებენ. ფოთის გენგეგმის გარდა, მუშაობა დაიწყება მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის რევიზიასა და განახლებაზეც.

**„ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულება გავაფორმეთ, რომელიც, დარწმუნებული ვარ, შემდეგი წლების განმავლობაში ქალაქის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ჩვენ შევქმნით ქალაქის განვითარების ახალ ხედვას, ახალ კონცეფციას, რომელიც ჩვენს მიზანს შეასრულებს და ტურისტული მიმართულებით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალს გაზრდის,“** – განაცხადა ფოთის მერმა ბექა ვაჭარაძემ.

# ყალბისმქმნელი პანდორას ყუთები







მესამე გვერდიდან

**მათ შორის სხვაობა, არანაირ სოციალურ სამართლიანობაზე არ შეიძლება ილაპარაკო. რაც შეეხება „მთავარი არხის“ დახურვის შესაძლებლობას, იმედია, თავად ეს დეზინფორმატორები არ გაავრცელებენ ისეთ ყალბ ნარატივს, რომ „ოცნება“ თავისუფალ მედიას ავიწროვებს. ეს ტელეკომპანია არის იმის ნათელი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ფეიკნიუსებზე და ტყუილებზე აგებულმა მედიამ საკუთარი თავი თავადვე ამოჭამოს“,** – ამბობს აბაშიძე.

მისივე თქმით, ჩვენ ეს ბრალდებები დიდი ხანია გვესმის უსინდისო ევროპარლამენტარებისგანაც – თითქოს საქართველოში სიტყვის თავისუფლება შევიწროვებულია. რეალურად კი იმდენად ბევრი ოპოზიციური არხია, რომ შეუძლებელია ე.წ. ავტოკრატიულ რეჟიმში ამდენი მედია არსებობდეს.

**„ჩვენ ვიცით ამ ტელევიზიების რეალური დანიშნულება და მიზნები, რომელიც დიდი ხანია ვერაფრით შეასრულეს. ესენი არიან რადიკალური პარტიების რუპორები, რომელთაც მედიასთან და ჟურნალისტობასთან არაფერი აქვთ საერთო. თუმცა ინტერნეტ სამყაროში, სადაც ახალგაზრდების და მოსახლეობის უმრავლესობა ინფორმაციას ტელეფონის, კომპიუტერის და სოციალური არხების საშუალებით იღებს, მათ ტყუილებს ასე მარტივად არ იჯერებენ. შესაბამისად, ადამიანების გონების გამორეცხვას, დეზინფორმაციულ ძალადობას ვეღარ ახერხებენ. ამიტომ მათმა მეპატრონეებმა, გადაწყვიტეს, რომ ფულის ყრა და ხარჯვა აღარ უღირთ. ამდენი მუქთამჭამელის შენახვა აღარ უნდათ. ასევე ბიზნესმენები, რომელთაც უნდათ, რომ საკუთარი პროდუქცია წესიერ მედია პლატფორმაზე გაარეკლამონ და გაყიდონ, იმ არხებს აღარ მიმართავენ, რომლებიც საზოგადოების მხრიდან ტყუილებსა და დეზინფორმაციაში არიან შემჩნეულები.**

**ამიტომ ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ამდენი მატყუარა ტელევიზიის შენახვას ურჩევნიათ, ერთი დატოვონ. როგორც ჩანს, ასეთი იქნება „ტვ პირველი“, რომელსაც ხაზარაძე აფინანსებს. დანარჩენები, „მთავარი არხი“ და „ფორმულა“ საკუთარი მეპატრონეების გადაწყვეტილებითვე, ალბათ, მალე დაიხურება“,** – ამბობს აბაშიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

წერილი რედაქციას

# რა დააშავა ვანო სარაჯიშვილმა?



**კულტურა და ხელოვნება ადამიანს სულიერად კვებავს და ასაზრდოებს, მის შინაგან განწყობას ამდიდრებს და ხელს უწყობს. ნებისმიერ ხელოვანს ამ მხრივ უაღრესად დიდი როლი აკისრია. საქართველო ხელოვანთა ნაკლებობას ნამდვილად არასოდეს განიცდიდა.**

ის იყო კაცი, ვინც სიმღერად იქცა, ვინც სათავეში ედგა ქართული, კლასიკური ვოკალური სკოლის დაფუძნებას, ვინც ქართველი კაცის ნიჭიერება და გამორჩეული თვისებები შორს, საზღვრებს გარეთ გაიტანა, ვინც ქართული სასიმღერო ხელოვნება უმაღლეს დონეზე აიყვანა და მსოფლიოს გააცნო, ვინც ქართული სიმღერა იტალიურ „ბელ კანტოს“ შეუხამა და შექმნა ქართულ-იტალიური სასიმღერო სტილი, ვინც თავისი გასაოცარი ხელოვნებით ქართველ ხალხს 25 წლის მანძილზე გულწრფელად ემსახურა, მისთვის დაიწვა და დაიფერფლა. ამიტომაც დაიმსახურა ქართველი (არა მარტო) ერის უდიდესი სიყვარული ქართველმა ერმაც მის მიმართ არ დაიშურა ეპითეტები – „ხმის ჯადოქარი“, „ტკბილ ჰანგთა მეფე“, „საქართველოს ბულბული“.

გასული საუკუნის 40-იან წლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას ვანო სარაჯიშვილის სახელი მიენიჭა, 60-იან წლებში, მის მშობლიურ კუთხეში, ქალაქ სიღნაღში დაიდგა ვანო სარაჯიშვილის ძეგლი. მომღერლის ხსოვნის პატივსაცემად, ყოველწლიურად ტარდებოდა სიმღერის დღესასწაული „ვანოობა“. მომდევნო პერიოდში სიღნაღში ხელახლა აღდგა და ამჟამად მოქმედებს ვანო სარაჯიშვილის სახელობის მემორიალური მუზეუმი, გამოიცა მონოგრაფიული სახის წიგნი – „ვანო სარაჯიშვილი, ლეგენდად ქცეული ორფევსი“, გადაღებული და წარმოდგენილ იქნა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი – „ტკბილ ჰანგთა მეფე“.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში საგრძნობლად შესუსტდა ყურადღება ლეგენდარული მომღერლის მიმართ. ამავე დროს სასურველია, გაუმჯობესდეს არსებული ძეგლის და სკვერის იერსახე, ვინაიდან ვანო სარაჯიშვილი ისეა ჩვენთვის, როგორც თევდორე შალიაპინი რუსეთისთვის, ენრიკო კარუზო და ტიტა რუფო იტალიელებისთვის.

სიღნაღი ნამდვილად არ განიცდის სახელოვანი და აღიარებული ადამიანების ნაკლებობას. მათი სახელის უკვდავსაყოფად და პატივის მისაგებად კარგი იქნება თუ რაიონში გამოინახება შესაბამისი ადგილი. დარწმუნებულები ვართ, როგორც სხვა მიმართულების მიმართ დამოკიდებულებისა, კულტურას და ხელოვნებას რაიონის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს, რადგან კულტურა და ხელოვნება სწორედ ის სფერო გახლავთ, რომლითაც შეიძლება იამაყოს და თავი მოიწონოს თითოეულმა ქართველმა, ჩვენმა სახელმწიფომ..

**გელა ქოქიაშვილი,**
**საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ქართული კულტურის ამაგდარი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი, სიღნაღის საპატიო მოქალაქე.**

# იტირებდა ტარიელი წყლისა პირსა, მოსაწევი რომ ჰქონოდა?!

## რატომ ეწევიან?

*– რატომ ეწევიან? საუკუნეების პასუხგაუცემელი კითხვაა.*

*რასაც დღეს ეწევიან, სახიფათო და საფრთხილოა.*

*თამბაქო ერთადერთი ნედლეულია, რამაც ყველა კონტინენტი გააერთიანა. თამბაქო XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე მეზღვაურების მიერ აღმოჩენილი და დაგემოვნებული ნედლეულია, რომელმაც მისი კულტივირების ინტერესი დედამიწის უამრავ ადგილზე გააჩინა.*

*ჯერ კიდევ მაშინ, როცა ორიენტაციისთვის მეზღვაურებს ყვავი დაჰყავდათ და განათებისთვის თევზ ევლახონს იყენებდნენ, თან დაატარებდნენ დაჭრილ თამბაქოს, აგედს და საკვეს ქვას. შიმშილს უფრო იტანდნენ, ვიდრე მოწევის უქმარისობას.*

*ევროპაში მოწევას სათავე დაუდო 1492 წელს მეზღვაურების მიერ სამხრეთ ამერიკიდან ჩამოტანილმა თამბაქომ. ისტორიული წყაროების მიხედვით, ეს მიეწერება კოლუმბის ოთხმოცდაათკაციან ეკიპაჟს, რომელშიც ესპანეთში მცხოვრები ძმები მალაშხიები და ლიპასკუა ირიცხებოდნენ.*

დღეისთვის ცნობილ ფართო მოხმარების ნედლეულიდან მხოლოდ მას ღეჭავენ, ყნოსავენ და ეწევიან, რითაც თამბაქომ რთული და წინააღმდეგობრივი გზა გაიარა.

სანტიაგოში ხუთი მონაზონი სასტიკად დასაჯეს, მისი მოხმარებისთვის თურქეთში ყურანის კანონით სჯიდნენ!

სპარსეთში თამბაქოს მოვაჭრეებს კოცონზე წვავდნენ!

რიგ ქვეყნებში მოწევა აკრძალეს და ა. შ.

სავარაუდოდ თამბაქომ კოლხეთში ოთხი საუკუნის წინ შეაღწია, ცოტა მოგვიანებით საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში დამკვიდრდა.

გასული საუკუნის მონაცემებით, თამბაქოს კულტივირება მსოფლიოს ასოთხმოცდაათამდე ქვეყანაში ხდებოდა. საბჭოთა სივრცეში მოსაწევის გამომშვები სამოცამდე საწარმო მოქმედებდა, მათ შორის საქართველოში – ოთხი, თბილისში (2), სოხუმსა და ბათუმში.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში თამბაქოს ნაწარმი იყო პირველი სამომხმარებლო პროდუქტი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტს და ერთდროულად რეგიონალურ, მკაცრ კონტროლს დაექვემდებარა.

**XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, თავისი არომატულობითა და გემოვნებით, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია აფხაზეთის ტერიტორიაზე, გუმისთა-ეშერის ზონაში გახარებულმა ნედლეულმა „სამსუნის“ სახელწოდებით, რაც განპირობებული იყო სუბტროპიკული ჰავით, გაუყინავ შავ ზღვასთან სიახლოვით და ნოყიერი ნიადაგის არსებობით. თუ მანამდე მოსახლეობას, ოჯახებს, მოხმარებისთვის კუთვნილ საკარმიდამო ნაკვეთებზე მოჰყავდათ ფართოფოთლიანი ნედლეული „სუმატრას“ და „ჰავანას“ სახელწოდებით, გადაერთო მის შეცვლაზე მცირე, ხელის გულის ზომის ფოთლებიან ნედლეულზე „სამსუნის“ სახელწოდებით.**

**„სამსუნის“ თესლის გამოყვანა-დახვეწაში დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა სივრცეში ერთადერთ, ქალაქ კრასნოდარში მოქმედ, საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტ „ვიტიმს“ და მის ფილიალს „ატოსს“ ქალაქ სოხუმში, რომელსაც ათეული წლობით ხელმძღვანელობდა ივანე ხვარწკია, სადაც ორასამდე მეცნიერ-თანამშრომელი იკვლევდა და ამიერკავკასიის ქვეყნებისთვის გამოჰყავდა არომატული და ჩონჩხოვანი ჯიშის სათესლე მასალა.**

1991 წელს მეხიკოს საერთაშორისო **ფორუმზე, აფხაზეთის „სამსუნ -55“ აღიარეს დარგის N1 ნედლეულად. შემდეგ მოდიოდა ყირიმის „დუბეკი“ და თურქეთის „იზმირი“. ჩონჩხოვანი ჯგუფის თამბაქოს ნედლეულიდან ხარისხობრივად საუკეთესოა ქედა-ხულოში მოწეული და ლაგოდეხის „ტრაპეზუნდი“.**

თუ მწეველთა სიმრავლით გამორჩეულ XIX-XX საუკუნეებში ეწეოდნენ მამაკაცები და ასაკოვანი ქალები, შემდგომ პერიოდში იმატა მწეველი ახალგაზრდა ქალებისა და მოზარდების რიცხვმა, რამაც გაააქტიურა მოწევის საწინააღნდეგო პროპაგანდა. „პაჩკაზე“ გაჩნდა წარწერა: „მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის“, რასაც მხოლოდ საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა; იმდენად გაიზარდა მწეველთა რიცხვი, რომ



აუცილებელი გახდა საწარმოთა გადაყვანა ორცვლიანი რეჟიმიდან სამცვლიანზე, რამაც მეთამბაქოეობა ათეული წლობით, ჩაის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკის მეორე შემავსებელ დარგად აქცია.

ტექნიკის განვითარებით ყოველთვის გამორჩეულ ევროპის ქვეყნებიდან მოგვეწოდებოდა მანქანა-დანადგარები, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირის „რკინის კარი“ ყოველთვის ღია იყო, რის მაგალითად დავასახელებდი 1974 წელს სოხუმის თამბაქოს კომბინატში დამონტაჟებულ ფერმენტაციის ბულგარულ უწყვეტ ნაკადურ ხაზს, რომლის ექსპლუატაციაში შესვლის ღონისძიებას ესწრებოდა ქვეყნის იმდროინდელი მეთაური **ალექსი კოსიგინი.**

მოწევა – ინტერესი, სიამოვნება თუ ზემოქმედება – ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული განზომილებებია ბოლომდე გაუცნობიერებელი და გაურკვეველი. დავასახელებ რამდენიმეს, რაც დასანახი, საგრძნობი და შესამჩნევია:

**სტრესულ მდგომარეობას ამსუბუქებს; შიმშილის გრძნობას აბლაგვებს და აქვეითებს; რესპირატორულ სურდოსა და პოლიათოსს (სუნს პირის ღრუში) აქრობს; პარკინსონის დაავადება მწეველებში იშვიათობაა; ანტისეპტიკური ეფექტურობითაც გამოირჩევა; (ჭრილობებზე იდებენ). მიკრობები ვერ ბუდობენ, ნარჩენები გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.**





ზემოთ მოყვანილი უფრო სარწმუნო რომ იყოს, შემოგთავაზებთ ცნობილი, მწეველი ადამიანების შეხედულებებს, ნათქვამებს, ქმედებებს მოწევაზე:

**სერ უინსტონ ჩერჩილი** ყველაზე ცნობილი მწეველი გახლდათ. მის მუზეუმში დღესაც ინახება ათეულ ათასობით ბოლომდე მოუწეველი სიგარა. ჩერჩილის დაჟინებული თხოვნით, სპეციალურად მისთვის აირწინაღი შეიქმნა, რომლითაც ის სამხედრო თვითმფრინავში მოწევას შეძლებდა.

**ეკატერინე II** ხშირად ყნოსავდა თამბაქოს.

**იოსებ სტალინი** ჩიბუხს ეწეოდა, ვერტიკალურად გაშლილ ბოლში ცხრილავდა ნაფიქრალ-ნააზრევს. უპირატესობას ჩონჩხოვანი ჯგუფის „ჰერცოგოვინა ფლორას“ ანიჭებდა, რომელსაც უმზადებდა ახტიორკის (უკრაინა) თამბაქოს საწარმო (პირველი საბჭოთა სივრცეში).

**ლეონიდ ბრეჟნევი** – სსრკ ლიდერებიდან, მისი მმართველობის დროს დახლებზე გამოჩნდა „მალბორო“ და „კენტი“. ექიმებმა აუკრძალეს მოწევა. სპეციალურად მისთვის შექმნეს დაბლოკვისა და ტაიმერის სახეობის მქონე პორტსიგარი, რომელიც მომდევნო ღერს 40 წუთის შემდეგ გამოსცემდა.

ბრიტანეთის მონარქი **ედუარდ VII** მიიჩნევა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევის ფუძემდებლად, რომელმაც მეფედ კურთხევის შემდეგ ლეგენდარული ფრაზა წარმოთქვა: „ჯელტმენებო, თქვენ შეგიძლიათ მოწიოთ“!

**ერნესტო ჩეგევარას,** თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოს ნახვა სიგარას გარეშე შეუძლებელი იყო. მისი განკარგულებით, ყველა პარტიზანულ ბანაკში სიგარას დამამზადებელი დანადგარი უნდა ჰქონოდათ. ზურგჩანთაში უნდა განთავსებულიყო თამბაქოს შესანახი ჯიბე.

**ფიდელ კასტრო** – უდიდესი პლანტატორის ოჯახში დაბადებული და გაზრდილი, სიგარა „კოჰიბა“-ს ეწეოდა. მოწევას თავი დაანება 1986 წელს, რაც სავარაუდოდ უკავშირდება ჩერნობილის ტრაგედიას, რამდენადაც იმ ღამეს შეწყდა სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში „მალბოროს“ გამოშვება და ფირმის ზედამხედველიც გაიწვიეს. 2006-2007 წლებში ფრანგმა მრეწველებმა განაახლეს სიგარა „კოჰიბა“-ს გამოშვება, რომლის ერთი ღერის ღირებულება 375 ევროა.

ინფორმაცია მოწევაზე უსასრულოა, თან საინტერესო და ანგარიშგასაწევიც. „სიგარეტის“ მიხედვით შეიძლება ყველაფერი შეიტყო მამაკაცის სულის შესახებ – ამბობდა ჯორჯ გოლსუორსი.

**„მოწევა თავშესაქცევია სულელებისთვის“** – წერდა გოეთე. **„მოწევა ავნებს სხეულს, ანგრევს გონებას და აჩლუნგებს“** - ირწმუნებოდა **ბალზაკი.**

მეჩვენება, რომ იმფორმაცია მწეველებზე ქართველებში მცირეა.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ შეკითხვაზე:

### „ჯენტლმენებო, თქვენ შეგიძლიათ, მოწიოთ!“



სტალინი



ჩერჩილი



ჩეგევარა



ბრეჟნევი



მაიაკოვსკი

„ჩიბუხს რად არ სწევო?“ – უპასუხა:
„იმა ჩიბუხის წევითა, ვერ გადავივლი მთასაო,
ასე რომ ბოლი მინდოდეს, ბუხარში შევყოფ თავსაო“.

მოწევის პირდაპირი კავშირი მწეველთა ჯანმრთელობასთან ყოველთვის იყო განსჯადი. მოწევას არავინ მოუკლავს, მაგრამ შეუძლებელია არ დაეთანხმო იმას, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანოა კანცეროგენური „კუპრისა“ და ალკოლოიდ „ნიკოტინის“ შემცველობის გამო, რომელთა არასაზიანო თვისებების მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელი გახდა ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, რომელიც ევროპის წამყვანი ქვეყნებიდან მოგვეწოდებოდა, რომლის ანალოგები საბჭოთა სივრცეში არ მოიძებნებოდა. თამბაქო არასოდეს გამხდარა დანამატი რომელიმე სამომხმარებლო პროდუქტის, არც სხვა პროდუქტის ნაწილი გაუთავისებია. ის აღმოჩენის დროიდან ითვლებოდა აცტეკების წმინდა მცენარედ, აღიარებულ და სანელებლების დედოფლად წოდებულ „ვანილით“, რომელიც ხარობდა იმავე სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეებში, საიდანაც ორივე ერთად მიეწოდებოდა ევროპას.

მოვსწრებივარ გასული საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს, სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში ფუნქციონირებად თამბაქოს არომატიზაციის საამქროს, რომელმაც მალევე შეწყვიტა მუშაობა, ზემოთ ხსენებული თვისებების გამო. ვინ მოთვლის თამბაქოს ნაწარმს სად, როდის, რამდენი ოპონენტი გამოსჩენია.

დროის შემდეგ პერიოდს დამგზავრებულმა **მოწევამ, ნარკომანიამ და კორუფციამ დიდი დაღი დაასვა ცხოვრებას. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან უკვე კორუფციის ჭაობში ჩაფლულმა განათლების სისტემამ, საკუთარ ქვეყანაში მიგვეღო ცოდნა, გზა ჩაგვიხერგა. ქვეყნის სახალხო მეურნეობას კი კადრი სჭირდებოდა, რამაც გამხადა კრასნოდარის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, რომელსაც ზემოთხსენებული „ВИТИМ“-ი კურირებდა.**

ერთ-ერთ ლექციაზე, „რატომ ეწევიან?“ „**ВИТИМ**“-ის ხელმძღვანელმა, უხუცესმა პროფესორმა **ზსევალოდ ჩენიკოვმა** რომ ვერ დააკმაყოფილა სტუდენტების ცნობისმოყვარეობა (უმრავლესობა სსრკ-ის მოკავშირე ქვეყნებიდან იყვნენ) პასუხებით, უცბად წამოხტა, დარბაზს თვალი შეავლო და თითით ჩემზე მიანიშნა: **„ჰკითხეთ იმ ქართველ გოგონას, იტირებდა ტარიელი წყლის პირას, მოსაწევი რომ ჰქონოდაო?“, რამაც სწრაფად წამომახტუნა. მოშორებით მყოფმა ასაკით კარგად უფროსმა სტუდენტმაც ხმამაღლა იკითხა, ვინ არის ტარიელიო, რამაც აუდიტორია კიდევ უფრო გაამხიარულა.** არ ვიცოდი, მაგრამ შევიფერე, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე უთარგმნიათ, მხატვარი უნგრელი ზიჩი რომ ყოფილა. ყოველივე ამან, პირველი და შეუცვლელი ქართველობის სიამაყე დამაუფლა და გამომაყოლა. დრო და ვითარებამ მთელი ცხოვრება ამ დარგის სამსახურში გამატარებინა, ყველა საწარმოო და ეკონომიკური



**„მართვის ბერმუხად“ წოდებული დირექტორი ხუტა ტუფურია, რომელიც ფაბრიკას 20 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა**

რგოლის გავლით, როგორც პირველ და ერთადერთ მთავარ ინჟინერ ქალს, საბჭოთა სივრცის 60 საწარმოს შორის, სხვა ქვეყანაშიც ორი საწარმოს დაგეგმვა-ფუნქციონირებით. აღიარება და დაფასება არ დამკლებია. არასოდეს არ დავსჯილვარ. **45 წლის ასაკში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდებაც მომანიჭეს.**

პანდემიის დროს მოვუხმე ბერძნულ თერაპიას **„უგასამრჯელო შრომა სჯობია, შინ უსაქმურად ჯდომასა“** და დავასრულე წიგნი სახელწოდებით **„გუდოკიდან მალბორომდე“ სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაზე, აფხაზეთის სამრეწველო ინდუსტრიის სათავე საწარმოზე.** როგორც შევძელი, ისე გადავაწოდე ჩემს თანამშრომლებს, ცა და მიწას შუა მიმოფანტულ, უცხო ცა-ღრუბლებს შენამზირებ ლტოლვილებს და საკუთარი სამშობლოს დევნილებს, რომლებიც 60 წელზე მეტი დროის თანამშრომლობაში, დას, მამიდას და დედას მეძახდა, ბოლოს კი მოგონებათა დედადაც მაქცია.

ბევრი ვეცადე განწყობა შემექმნა, ემოციები დამეთრგუნა, ბევრის მომსწრემ, მნახველმა და გამგონემ, განვლილ წლებს გონების თვალით შევხედე, რეალობა და საფრთხეები გავაანალიზე, ისეთი ეპიზოდები, რომელთა სააშკარაოზე გამოტანა ქვეყნისთვის და მომავლისთვის საზიანოა, მეხსიერებაში სამუდამოდ დავატყვევე. წიგნში მოვიყვანე და აქაც მინდა გავიმეორო იმ საუკუნეებგამოტარებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ტრადიციებზე, სულის სამკაულ მასაზრდოებელ ადათ-წესებზე, რაც ყველაზე მისადაგებულად გამოხატა აფხაზი ერის თვალსაჩინო შვილმა დიმიტრი გულიამ: „ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე ვაშენებდით ჩვენ ჩვენს კულტურას, ერთად ვიცავდით ნაციონალურ ყოფას და ჩვენს მიწას. ცოტაა თქვა - ჩვენ მოძმე ხალხი ვართ. ჩვენში ერთი ფსიქიკა, წესი და ადათი, ერთი ფსიქოლოგიაა. იგივე შეუძლია თქვას ქართველმაც. ამ ძმობამ შეგვინახა ჩვენ და ვინც ცდილობს ჩვენს გახლეჩას, ის საკუთარი თავის მტერია.“

ისტორიული წიგნის გამოცემამ საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიას დამაკავშირა, რომლის თოთხმეთწლიანი შრომის შედეგი შთამბეჭდავია, საჭიროებს აფხაზეთის ისტორიის მასალებს, რაც განადგურებულია. მისაწვდომი, სანდო ადამიანები ცოტა შემორჩა, რომლებსაც უშენებიათ და უმშვენებიათ დღემდე მოკვეთილი, „სჯულის წესის“ სამშობლო – აფხაზეთი, სადაც მეტმა აფხაზმა იცოდა მეგრული დიალექტი და ქართული ენა, ვიდრე ერთადერთ ენაზე მოსაუბრე ქართველმა.

მრავალი თხოვნა მივიღე წიგნის „გუდოკიდან მალბორომდე“ რუსულ ენაზე დამეწერა. დრო თუ დამაცდის, რამდენადაც მევალება, მასზე ვმუშაობ, რადგანაც აფხაზეთის მრეწველობის სათავე – პირველ საწარმო, სოხუმის თამბაქოს ფაბრიკას 2025 წლის 16 თებერვალს 100 წელი უსრულდება.



**ეთერ კვიტია,**
**აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი**
(595 01 07 22)







ყოველი ასეთი კამპანია მხოლოდ მომხმარებელთა რაოდენობის ზრდით მთავრდებოდა, ერთდროულად მოწევის პოპულარიზაციას უწყობდა ხელს. ფაქტია, რომ ანტირეკლამამ მოწევას ვერაფერი დააკლო. სარწმუნოა, რომ ბუნებრივი პირობების დაცვით, სათანადო ტექნოლოგიურ პროცესებგამოტარებული მოსაწევი ჯანმრთელობისთვის ნაკლებად საზიანოა.

იცით თუ არა, რომ მოსაწევის „პაჩკის“ ზომას განუსაზღვრავს მამაკაცის კიტელის გულის ჯიბის ზომა. დღეს იმ ჯიბეში იდებენ „ელექტრონულ სიგარეტად“ წოდებულს, რომლის გულთავსში თამბაქოს ბეწვი არ არის. დანართში ხსენებული „თამბაქოს ზეთი“ - ამ დარგში არასოდეს ხსენებულა.

**შესამჩნევია მწეველთა რაოდენობის მატება მოზარდებში, განსაკუთრებით სტუდენტ გოგონებში, სადაც ის საშიშ ზეგავლენას ახდენს მომავალ დედობაზე. აქ დუმილი დანაშაულია.**

პერსპექტივაში არ ჩანს, რომ მოწევა მალე გახდება ამოწურვადი. **ამიტომ ჯობს ავნო ჯიბეს, ვიდრე ჯანმრთელობას, მოსწიოთ ძვირადღირებული, ხარისხიანი მოსაწევი, რომლის მომარაგებაც სახელმწიფოს შეუძლია.** მეტი ყურადღებაა მისაქცევი დიდი ბრიტანეთის, უელსის მთავრობის მიერ აღმოჩენილ, მეორე მსოფლიო ომის დროინდელ მიტოვებულ ბუნკერებში დამალულ, არალეგალურ „ელექტრო სიგარეტებ“-„ვაიპემის“ მიმართ, რომელიც მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული. ამ მხრივ საქართველოც არ არის გამონაკლისი.

**ამ თემას, ბეჭდვითი მედიის ლიდერმა, „საქართველოს რესპუბლიკამ“, ართუ ისე დიდი ხნის წინ მეტად გასაცნობიერებელი და ყურადსაღები სტატია მიუძღვნა.**

მკითხველს რომ გავუფანტო ფიქრი, ქალს ამ თემაზე, საიდან და რისთვის ამდენი ცოდნა აღნიშნულ საკითხზე, საჭიროდ ჩავთვალე მცირედი ჩართვა. არა სურვილმა, არამედ დრომ და ვითარებამ მთელი ცხოვრება ნედლეულიდან მოსაწევამდე, თამბაქოს დარგში სამსახური დამაბედა. დიდი სამამულო

# ჯეირან გვაგვალია ყოველთვიურად 300 ლარს მიიღებს!

## თეა ახვლედიანი: ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა საოკუპაციო ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერება და მათთვის განათლების შესაძლებლობების გაფართოება

**თეა ახვლედიანმა და ალექსანდრე წულაძემ ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონიდან წარჩინებულ სტუდენტს, დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო სტიპენდია და შესაბამისი სერტიფიკატი გადასცეს, – ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო მინისტრის აპარატი ავრცელებს.**

**მათივე ცნობით, 2024-2025 სასწავლო წელს დიმიტრი გულიას სახელობის სტიპენდიატი გახდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ჯეირან გვაგვალია, რომელმაც ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის, გალის რაიონის სოფელ დიხაზურგის საშუალო სკოლა დაამთავრა და ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა.**

**„სახელობითი სტიპენდიატი, ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში, 300 ლარს ყოველთვიურად მიიღებს სტიპენდიის სახით.**

ღონისძიების ფარგლებში, სიტყვით გამოვიდნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ალექსანდრე წულაძე და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი.

სახელმწიფო მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკასა და „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ სამშვიდობო ინიციატივის პრიორიტეტებზე ისაუბრა, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებული აქცენტი ახალგაზრდების მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე კეთდება. თეა ახვლედიანმა ყურადღება გაამახვილა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ უნიკალურ მექანიზმებსა და საშეღავათო პროგრამებზე; **„შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის და სამშვიდობო ინიციატივების ფარგლებში, ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა საოკუპაციო ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერება და მათთვის განათლების შესაძლებლობების გაფართოება. ამასთან, ჩვენ ვაგრძელებთ დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობითი სტიპენდიებით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან იმ გამორჩეული ახალგაზრდების მხარდაჭერას და წახალისებას, რომლებიც მათთვის დანერგილი საშეღავათო პროგრამების და უმაღლესში უგამოცდოდ ჩარიცხვის შესაძლებლობის მიუხედავად, ადგილზე არსებული ურთულესი გამოწვევების პირობებში, დამოუკიდებლად ახერხებენ მოემზადონ და უმაღლესი შედეგებით ჩააბარონ ეროვნული გამოცდები. სწორედ ამგვარი შემართების, შრომის და გამბედაობის დასაფასებლად, წელს ჩვენ დავაჯილდოვეთ დიმიტრი გულიას სახელობითი სტიპენდიით ჯეირან გვაგვალია – ახალგაზრდა ოკუპირებული გალის რაიონიდან, რომელსაც კიდევ ერთხელ ვულოცავ ამ წარმატებას. მეტი განათლებითა და განვითარებით, ნდობის აღდგენითა და მშვიდობის მშენებლობით ჩვენ აუცილებლად დავძლევთ ოკუპაციას და გავაერთიანებთ ჩვენს ხალხს,“- განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა.**

დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები 2018 წლიდან სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით დაარსდა და განკუთვნილია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგებს აჩვენებენ“.




ალექსანდრე წულაძემ წარჩინებულ სტუდენტს დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო სტიპენდია და შესაბამისი სერტიფიკატი გადასცა




©"უცხოეთის მასმედია: მიმოხილვა, ანალიზი, კომენტარი"
პროექტის ხელმძღვანელი: სიმონ კილაძე
ელფოსტა: simonkiladze@gmail.com
ფეისბუქი: https://www.facebook.com/profile.php?id=100005791115784&locale=ka_GE

# ფაშინიანის კითხვები 1915 წლის მოვლენებთან დაკავშირებით

**ნიკოლ ფაშინიანმა** ეჭვქვეშ დააყენა 1915 წლის ტრაგიკული ამბების ნამდვილობა და განაცხადა, რომ „სომეხთა გენოციდის" მიმართ შეფასებები და მიდგომები უნდა შეიცვალოს, – წერს თურქული გამოცემა **Medya Günlüğü** **სარედაქციო სტატიაში სათაურით „ფაშინიანის კითხვები 1915 წლის მოვლენებთან დაკავშირებით"**, რომელშიც ამ დღეებში მომხდარი სკანდალური ფაქტია განხილული – სომხეთის პრემიერის მიერ გამოხატული დამოკიდებულება თითქმის 110 წლის წინ მომხდარ მოვლენის მიმართ.

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**






**როგორც აშშ-ში** სომხური დიასპორის გაზეთი „ასბარეზი" (Asbarez) იუწყება, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა გასულ კვირას, შვეიცარიაში ვიზიტის დროს, სომხურ თემთან შეხვედრისას, ერთ-ერთი კითხვის პასუხად, რომელიც 1915 წლის მოვლენებს ეხებოდა, განაცხადა, რომ „ჩვენ უნდა გადავხედოთ სომხების გენოციდის საკითხს".

**„ჩვენ უნდა გავიგოთ, თუ რა მოხდა და რატომ მოხდა. როგორ აღვიქვით მომხდარი მოვლენა [გენოციდად] და ვისი ჩარევა-„დახმარებით"? როგორ მოხდა, რომ 1939 წლამდე სომხების გენოციდის საკიხი დღის წესრიგში არ იდგა, 1950 წელს კი უეცრად წარმოიქმნა? და საერთოდ, საჭიროა თუ არა ამ პრობლემით ვიყოთ დაკავებული? უნდა ვაკონტროლოთ თუ არა ჩვენი იდენტობა?",** – იკითხა სომხეთის პრემიერ-მინისტრმა.

რასაკვირველია, ნიკოლ ფაშინიანის ამგვარმა სიტყვებმა სომხურ ოპოზიციაში და საზღვარგარეთულ დიასპორაში მძაფრი რეაქცია გამოიწვია: „დააყენა რა ეჭვის ქვეშ სომეხთა გენოციდის ნამდვილობის საკითხი და მრავალწლიანი კამპანია გენოციდის საერთაშორისო აღიარების თაობაზე, პრემიერ-მინისტრი თავისი ოპონენტებისგან კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა", – აღნიშნულია გაზეთ Asbarez-ში 27 იანვარს გამოქვეყნებულ მასალაში.

თავის მხრივ სომხურმა რევოლუციურმა ფედერაციამ („დაშნაცუტიუნმა") უკიდურესად ნეგატიურად შეაფასა პრემიერ-მინისტრის მიერ გამოთქმული ეჭვები და აღნიშნა, რომ „ნიკოლ ფაშინიანი სომეხთა გენოციდის არსს ამახინჯებს, ამცირებს დანაშაულის მასშტაბებს და კამპანიას ატარებს საკითხის ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგ. პრემიერ-მინისტრის მოქმედება წარმოადგენს სპეკულაციას და შეურაცხყოფს უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნას".

სომეხი მეცნიერის, გენოციდის მკვლევარის სურენ მანუკიანის აზრით, ნიკოლ ფაშინიანს ელემენტარული ცოდნაც კი არ აქვს პირველი მსოფლიო ომის წლებში მომხდარ სომეხთა ხოცვა-ჟლეტის თაობაზე, როცა ოსმალეთის იმპერიაში დაახლოებით 1,5 მილიონი სომეხი დაიღუპა. ეს ტრაგიკული ფაქტი ამჟამად ათობით ქვეყანას და საერთაშორისო ორგანიზაციას, აგრეთვე ბევრ ცნობილ ისტორიკოსს და იურისტს აქვს აღიარებული გენოციდად.

„მე ვფიქრობ, რომ ნიკოლ ფაშინიანმა ცოტა მეტი წიგნი და გამოკვლევა უნდა წაიკითხოს. იგი თავს განათლებულად მიიჩნევს, მაგრამ სინამდვილეში ნახევრად მცოდნეა, რაც, საერთოდ, პოლიტიკაში ძალიან საშიშ მოვლენას წარმოადგენს. მან უნდა იცოდეს, რომ სიტყვა „გენოციდი" 1939 წლამდე იმიტომ არ ფიგურირებდა, რომ თვითონ ტერმინი პირველად პოლონელ-ებრაელმა იურისტმა რაფაელ ლემკინმა იხმარა 1939 წელს, ებრაელების ჰოლოკოსტთან დაკავშირებით. იგი 1915 წლის სომეხთა ტრაგედიასაც ეყრდნობოდა. ასე რომ, ნიკოლ ფაშინიანის მინიშნება, რომ გენოციდზე ლაპარაკი მხოლოდ 1950 წელს დაიწყეს ვიღაცის მითითება-ჩარევის **(იგულისხმება იოსებ სტალინი) შედეგად, არასწორია. სხვათა შორის, საბჭოთა სომხეთში გენოციდის აღნიშვნა 1965 წლიდან ხდება, სტალინის სიკვდილიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ, 1967 წელს კი ციცერნაკაბერდის მემორიალური ობელისკი აიგო.**

1998-2008 წლებში სომხეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ვარდან ოსკანიანის თქმით, „ნიკოლ ფაშინიანის ასეთი რიტორიკა არამარტო ისტორიული რევიზიონიზმია, არამედ ამორალური საქციელიც. როგორც პრემიერ-მინისტრს, მას სომხეთის სუვერენიტეტის, თავისი ხალხისა და მემკვიდრეობის დაცვა ევალება, მაგრამ მისი სიტყვები სწორედ ამ პასუხისმგებლობის ძირის გამოთხრასა და უარყოფას ნიშნავს. საჯაროდ მსგავსი განცხადებების გაკეთება ხელს უწყობს სიმართლის წაშლას და არღვევს სომეხი ხალხის ერთიანობას. ეს არის მშობელი ხალხის მიმართ ჩადენილი ღალატი, შეუძლებელია ვინმეს ეპატიოს", – წერს გაზეთი „ასბარეზი".

**წყარო:** https://medyagunlugu.com/pasinyandan-1915-sorulari/

# კაცი, რომელმაც მსოფლიო ბირთვული ომისგან იხსნა

## სტანისლავ პეტროვის დაუჯერებელი ამბავი



**1983 წლის 26 სექტემბრის ღამეს მსოფლიო განადგურების ზღვარზე იდგა. ცივი ომის პერიოდის დაძაბულობა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ყველაზე მაღალი იყო, ორივე მხარე უამრავი ბირთვული იარაღით იყო შეიარაღებული. ამ არასტაბილურ ვითარებაში შედარებით უცნობმა საბჭოთა ვიცე-პოლკოვნიკმა სტანისლავ პეტროვმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენდა.**

### მოულოდნელი სიგნალიზაცია

**პეტროვი** ადრეული გაფრთხილების ბუნკერში მორიგეობდა. მას ებარა მონიტორინგის სისტემები, რომლებიც აშშ-დან შემომავალი ბირთვული რაკეტების აღმოსაჩენად იყო შექმნილი. მოულოდნელად ბუნკერში სიგნალიზაცია გაისმა. სისტემა იტყობინებოდა, რომ ხუთი ამერიკული ბირთვული რაკეტა გაშვებული იყო და პირდაპირ საბჭოთა კავშირისკენ მიემართებოდა.

პროტოკოლის თანახმად, პეტროვს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა განგაშის შესახებ უფროსებისთვის, რომლებიც, რასაკვირველია, საპასუხო დარტყმის ბრძანებას გასცემდნენ. მსოფლიოს ორი ზესახელმწიფო წამებით იყო დაშორებული ორმხრივი განადგურებისგან.

პეტროვი ყოყმანობდა, საერთო სურათს რაღაც აკლდა პირველყოვლისა, სისტემა მხოლოდ ხუთ რაკეტას აჩვენებდა — უცნაურად მცირე რაოდენობას აშშ-ის მიერ განხორციელებული პირველი დარტყმისთვის. მან ასევე, შენიშნა, რომ სახმელეთო სარადარო სადგურებს არ ჰქონდათ თავდასხმის დამადასტურებელი მტკიცებულება. მიუხედავად უზარმაზარი ზეწოლისა და განგაშის უგულებელყოფის პოტენციური შედეგებისა, პეტროვმა დარეკა და გადასცა, რომ ცრუ განგაში იყო.

წუთები გადიოდა, რაკეტები კი არ ჩანდნენ. დადასტურდა, რომ მისი მოსაზრება სწორი იყო — განგაში გამოწვეული გახლდათ მზის სხივების იშვიათი პოზიციით, რამაც სატელიტური სისტემა დააბნია.

### გმირი აღიარების გარეშე

**მიუხედავად** იმისა, რომ პეტროვის გადაწყვეტილებამ, სავარაუდოდ, თავიდან აგვაცილა კატასტროფული ბირთვული ომი, ის დიდწილად არაღიარებული დარჩა. საბჭოთა სამხედროებმა ეს ინციდენტი უხერხულობად მიიჩნიეს, ამიტომ მისი ქმედებები საიდუმლო ანგარიშებში „გამოკეტეს". თავად პეტროვს უსაყვედურეს და მალევე გადადგა კიდეც სამხედრო სამსახურიდან.

წლების განმავლობაში მისი გმირობა მსოფლიოსთვის უცნობი რჩებოდა. მხოლოდ 1998 წელს გაირკვა მოვლენის დეტალები და პეტროვმა დამსახურებული აღიარების მიღებაც დაიწყო. მას მიენიჭა რამდენიმე საერთაშორისო მშვიდობის პრემია, მისმა ისტორიამ კი, უამრავი ადამიანი შთააგონა.

# ტრამპი ტრანსგენდერებს უტევს

## ტრამპი ბავშვების სქესის შეცვლაში ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიულ ასოციაციას ადანაშაულებს!



**აშშ-ის პრეზიდენტის** დონალდ ტრამპის მიერ ხელმოწერილ აღმასრულებელ ბრძანებაში არასრულწლოვნების დაცვის შესახებ წერია, რომ ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაცია (**WPATH**) ბავშვების სქესის შეცვლას ხელს უწყობდა.

„შემაძრწუნებელი დიდი სისულელე, რომელიც ბავშვებს ქიმიურად და ქირურგიულად ასახიჩრებს, სამედიცინო აუცილებლობით ინიღბება, რასაც ხელს ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაცია (**WPATH**) უწყობს, რომელსაც სამეცნიერო სამართლიანობა არ ჰყოფნის", – წერია დოკუმენტში.

აქედან გამომდინარე, ტრამპი აღნიშნავს, რომ ამიერიდან აშშ-ის ყველა სააგენტო და სამედიცინო დაწესებულება უარს აცხადებს ან ცვლის პოლიტიკას, რომელიც ეყრდნობა ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაციის სტანდარტებსა და მოწოდებებს.

ბრძანების გამოქვეყნებიდან 90 დღეში ჯანდაცვის მინისტრმა უნდა გამოაქვეყნოს იმ ლიტერატურისა და მიღებული პრაქტიკების ნუსხა, რომელიც დაეხმარება ბავშვებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აქვთ გენდერული დისფორია ან სწრაფი გენდერული დისფორია.

გარდა ამისა, 60 დღეში იმ სააგენტოების ხელმძღვანელებმა, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული ბრძანება, შიდა პოლიტიკის საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწეს უნდა წარუდგინონ ერთიანი ანგარიში.

საქართველოს რესპუბლიკა

მედიათა მიჯნაზე



პაატა ნაცვლიშვილი

# ფეისბუქი-2024, რჩეული პოსტები

19 მაისი, 2024

## ჰოდა, 33 წლის ჯონ აპდაიკის მოლოცვა 90 წლის კობა წაქაძეს

**ჰოდა, თბილისის დროით ზუსტად 13 საათია. მე კი თბილისში ვარ, მაგრამ სწორედ ახლა, თბილისის დროით 13 საათზე, ბაკურიანში, კინოთეატრ „დიდველში“ კობა წაქაძის 90 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი იწყება.**

ჰოდა, დღეს კი აღინიშნება, თუმცა ვიკიპედიაში მისი დაბადების თარიღად 1934 წლის 19 აგვისტო წერია. ასეა ქართულ ვიკიპედიაში, ასეა რუსულსა თუ გერმანულში, ასეა ნორვეგიულსა თუ პოლონურში, ასეა ფინურსა თუ შვედურში. და მხოლოდ ინგლისური ვიკიპედია გვეუბნება – 19 მაისს არის დაბადებულიო. რაკი ბაკურიანშიც დღეს აღნიშნავენ მის დაბადების დღეს, ინგლისურს უნდა ვენდოთ. მით უმეტეს, რომ სწორედ ინგლისურად მინდა მივულოცო კობა წაქაძეს სახელოვანი იუბილე.



TSOKADZE O ALTITUDO

"Tsokadze has invented a new style—apparently without knowing it. He does not bend from the waist at all. His body is straight and relaxed and leaning far out over his skis until his face is only two feet above them, his arms at his side, his head up. His bindings and shoes are so loose that only his toes touch his skies. He gets enormous distances and his flight is so beautiful."
—*Thorlief Schjelderup, quoted in the Times, of a young Russian ski-jumper*

Tsokadze leans unknowingly
Above his skis, relaxed and tall.
He bends not from the waist at all.
This is the way a man should ski.

He sinks; he rises, up and up,
His face two feet above the wood.
This way of jumping, it is good,
Says expert Thorlief Schjelderup.

Beneath his nose, the ski-tips shake;
He plummets down the deepening wide
Bright pit of air, arms at his side,
His heart aloft for Russia's sake.

Loose are the bindings, taut the knees,
Relaxed the man—see, still he flies
And only his toes touch his skies!
*Ah, c'est beau,* when Tsokadze skis.

59

ჰოდა, რაგინდ უწვრთნელი იყო ადამიანი, სპორტის ნებისმიერ სახეობაში მიაღწევს რაღაც შედეგს – ასე თუ ისე გაიქცევა და გადახტება სიგრძეზე თუ სიმაღლეზე; ცურვითაც როგორღაც რაღაცას გაცურავს; წააგებს, მაგრამ იჭიდავებს და შტანგასაც სულ რამდენიმე კილოს მაინც აწევს... მაგრამ არის ორად ორი სახეობა, ერთი ზაფხულისა და ერთი ზამთრისა, სადაც უწვრთნელი კაცი ვერავითარ, რაგინდ დაბალ შედეგს ვერ აჩვენებს – ჭოკით ხტომა და ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა.

ჰოდა, ტრამპლინიდან ხტომაში კობა წაქაძე 15 წლის განმავლობაში პირველი იყო საბჭოთა კავშირში. დღესაც და სამუდამოდაც პირველ სამეულშია საბჭოთა ტრამპლინიდან მხტომელებს შორის.

ჰოდა, ოთხი ოლიმპიადის მონაწილე, საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი და სამგზის თასის მფლობელია. პირველად რომ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1953-ში მე ერთი წლისა ვიყავი, ბოლოს რომ მოიპოვა ჩემპიონობა, უკვე მე უკვე 20-ისა გახლდით და უნივერსიტეტის მესამე კურსის სესიებისთვის ვემზადებოდი.

ჰოდა, დღევანდელი იუბილე ინგლისურად უნდა მივულოცო-მეთქი.

ჰოდა, თანაც პირდაპირ ჯონ აპდაიკის ლექსით!

ჰოდა, ეს ლექსი აპდაიკის ლექსების წიგნში დაიბეჭდა 1965 წელს. მაშინ აპდაიკს მხოლოდ „კენტავრი“ ჰქონდა დაწერილი იმ თავისი ცნობილი რომანებიდან. კიდევ კარგი, რომ მერე და მერე ძირითადად პროზას მიაწვა, ლექსები, როგორც ჩანს, ისე არ ეხერხებოდა. ეს მისი პირველი ლექსების წიგნი იყო, მომდევნოები – ალბათ უკეთესი იქნებოდა, მე არ წამიკითხავს. ეს ლექსი კი, ყველა დაინახავს, დიდი ვერაფერია, მაგრამ მთავარი თავად ფაქტია.

ჰოდა, განა რამდენ სპორტსმენს შეუძლია დაიკვეხნოს, რომ მას დიდმა ამერიკელმა მწერალმა ჯონ აპდაიკმა ლექსი მიუძღვნა? ვერც ერთი – კობა წაქაძის გარდა. როგორც ჩანს, ამერიკაში რომელიღაც შეჯიბრებაზე უნახავს, მერე გაზეთში წაუკითხავს მისი ქება და ჟურნალისტის სიტყვები ლექსისთვის ეპიგრაფად წარუმძღვარებია. წაქაძის გვარში ჟურნალისტს ერთი ასო შეშლია და ამასაც ასევე გადმოუტანია. სათაურისთვის კი ლათინური თუ ესპერანტო მოუმარჯვებია: „წოქაძე სიმაღლეზეა“.

ჰოდა, ამ ლექსის ქართული თარგმანი მერე გაზეთ „ლელოში“ დაბეჭდა მიშა კაკაბაძემ. მაშინ უკვე სერიოზულად ვიყავი დაინტერესებული სპორტული ჟურნალისტიკით და ამონაჭერი სათუთად შემინახავს. რა თქმა უნდა, არც თარგმანია დიდად გამორჩეული. მაგრამ ასეა თუ ისე, მაშინ ქართველი მკითხველი აპდაიკს მხოლოდ ამ ლექსით და „კენტავრით“ იცნობდა. მრავალი წლის შემდეგ ლექსი მეორედაც ითარგმნა, მაგრამ ლექსს არაფერი მომატებია. სამაგიეროდ, ფაქტს მოემატა წონა და ელვარება. თუ თავიდან აპდაიკი ვინ იყო არავინ იცოდა, საქართველოში ყოველ შემთხვევაში, ახლა ის უკვე სახელგანთქმული მწერალი გამხდარიყო, დიდად პოპულარული ახალგაზრდებსა თუ ძველგაზრდებში იმ თავისი „კენტავრით“, თუ „ბაჭიას“ რომანების ციკლით, თუ „ბრაზილიით“, თუ სხვა წიგნებით...

ჰოდა, ლექსების ის პირველი წიგნი რომ გამოვიდა ნიუ-იორკში, აპდაიკი 33 წლისა იყო, კობა წაქაძე 31-ის.

ჰოდა, ვიფიქრე, რომ კობა წაქაძის 90 წლის იუბილეს, სხვა მრავალ მოლოცვასთან ერთად, რომელთაც მეც ვუერთებ ჩემს ხმას, 33 წლის ჯონ აპდაიკის ლექსიც მოუხდებოდა.

**P. S.** კობას დაბადების თარიღმა რომ დამაბნია, კოლეგა სოფო ხეთაგაშვილმა მომიკომენტარა ბაკურიანიდან: „პაატა, კობას დაბადების ორი თარიღი აქვს. ერთი, როცა დაიბადა – 19 მაისი და მეორე, 19 აგვისტო – როცა დაარეგისტრირეს.

23 მაისი, 2024

## ოლიმპიური ჩემპიონი უკვდავი ჩემპიონია!

**ჰოდა, ვერ მოვშორდი მთელი თვეა ტელევიზორს. ამდენი წელია, საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირში შესვლას იხვეწება და დახურული ღია კარის მეტს ვერაფერს მიაღწია, ახლა კი იქით ეხვეწებიან, შემოდით ევროკავშირში, თორემ არ ვიცით, რას ვიზამთო, მაგრამ ამჯერად საქართველოს ხელისუფლება მერყეობს.**

ჰოდა, კიდევ კარგი, ამ დღეებში ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონატი იმართება და ხანდახან მაინც გვავიწყებს პოლიტიკას, მიტინგებსა და ევროკავშირს. ევროკავშირს განსაკუთრებით – მსოფლიო ჩემპიონატი აბუ-დაბიში მიმდინარეობს. დღეს 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში გათამაშდა მედლები. ამ სურათზე ამ წონის ორი ლიდერი, ორი დიდი ჩემპიონია აღბეჭდილი – ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური და მსოფლიო ჩემპიონი ლუკა მაისურაძე. ჩვეულებრივ ძიუდოკებს ზურგზე გვარი ლურჯ ფონზე აწერიათ. ამათ კი – ოქროსფერზე და წითელზე. მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი ოქროსფერი არშიითაა, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი – წითლით.




ჰოდა, ახლა, ამ მსოფლიო ჩემპიონატზე არც ბექაური გამოდიოდა და არც მაისურაძე. ეს ფოტო კი შარშან, 6 აგვისტოს არის გადაღებული ბუდაპეშტში. ისინი ერთმანეთს უნგრეთის მასტერსის ფინალში შეხვდნენ და ორ-ორი გაფრთხილების შემდეგ, დამატებით დროში გამარჯვებულის ვინაობა მაისურაძის მესამე შიდომ გადაწყვიტა – ოქროსფერმა წითელი დაამარცხა.

ჰოდა, ერთი წუთით თავი ესპანელ რაულ კამაჩოდ წარმოვიდგინე, რომელიც მსაჯობდა ამ შეხვედრას და რომლის შიდომაც გადაწყვიტა გამარჯვებულის ბედი. არ ვიცი, ვინმეს რგებია თუ არა ასეთი შეხვედრის მსაჯობა! კი, ალბათ ყოფილა, რომ მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი მოქმედ მსოფლიო ჩემპიონსაც შეხვედრია, შეიძლება ეს რომელიმე დიდი შეჯიბრების ფინალშიც მომხდარა, მაგრამ ის რომ ორივე ფინალისტი ერთი ქვეყნის წარმომადგენელი ყოფილიყო, ალბათ მართლა უნიკალური შემთხვევაა.

ჰოდა, ახლა ძირითად სათქმელზე უნდა გადავიდე. ეს სურათი კი ამჯერად მხოლოდ ძიუდოკათა წარწერების გამო დამჭირდა. მართლა მშვენიერი მიგნებაა, როცა სპორტის ამ სახეობაში მაყურებელს წარწერის ფონით შეუძლია მოქმედი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონების ამოცნობა. საერთოდ, ძიუდო ამ მხრივ გამორჩეულია სპორტის სხვა სახეობათაგან: თავისი საკმაოდ რთული წესების ცვლილებებითა თუ ფორმების დახვეწით იგი სხვაზე ადრე მოერგო სატელევიზიო ფორმატს და მისი ესოდენი პოპულარობაც ამის შედეგიცაა. ჩემებრ სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ალმებიანი მსაჯები ტატამის კუთხეებში, ახსოვთ კოკა-იუკო–ვაზარი-იპონის ოთხსაფეხურიანი ქულები, ასევე ოთხსაფეხურიანი საჯარიმოებიც ახსოვთ – შიდო, ჩუი, კეიკოკუ, ხანსოკუ-მაკე – და შემდეგ დასჭილის დაჩოქებაც... და ისიც, კარგად ახსოვთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ ორივე სპორტსმენი თეთრ კიმონოში გამოდიოდა, რაც მაყურებლებისთვის ძნელი იყო აღსაქმელად. ალბათ ამ რიგში უნდა განვიხილოთ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ შემოღებული ოქროსფერი და წითელი არშიების ეს მშვენიერი ნოვაცია.

ჰოდა, კარგი იქნება თუ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია კიდევ ერთ სიახლეს დაუდებს სათავეს. უფრო სწორად კიდევ უფრო დახვეწს ამ უკვე დამკვიდრებულ ნოვაციას. ზემოთ რამდენჯერმე ვახსენე სიტყვა „მოქმედი“ – რაც სამართლიანია მსოფლიოს ჩემპიონის შემთხვევაში, მაგრამ უსამართლოა ოლიმპიური ჩემპიონის შემთხვევაში. ოლიმპიური ჩემპიონი ხომ მუდმივი ჩემპიონია, იგი „ექს“ პრეფიქსს არასოდეს დაირთავს, ოლიმპიური ჩემპიონი მუდამ მოქმედი ჩემპიონია!

ჰოდა, არ არის სამართლიანი, როცა, მაგალითად, ლაშა შავდათუაშვილი დღეს ჩვეულებრივი ლურჯარშიიანი წარწერით გამოდის. მერე რა, რომ იგი ოლიმპიური ჩემპიონი 12 წლის წინ, ლონდონში გახდა და მერე მხოლოდ ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლები მოიპოვა, იგი კვლავაც ოლიმპიური ჩემპიონია და კვლავაც ოლიმპიური ჩემპიონი იქნება, სადაც და როცა არ უნდა გამოვიდეს ტატამზე, თუნდაც ეს ვეტერანთა შეჯიბრებები იყოს.

ჰოდა, დიახაც, სწორია: წითელი არშია მხოლოდ მოქმედ მსოფლიო ჩემპიონს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ ოქროსფერი კი – ყველა ოლიმპიური ჩემპიონს, ერთხელ და სამუდამოდ! ეს იქნება მართალიც, სამართლიანიც და გამართლებულიც.

ჰოდა, რაკი ჩემთვის ძნელია ამ წინადადების მიწოდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციისათვის, ვთხოვ ჩემს კოლეგას გიორგი ჭანიშვილს – ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის აღიარებულ ხმას, რომ ჩემი ეს ხმაც მიაწვდინოს, ვისაც ჯერ არს. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ, რომელიც მართლა საოცრად დინამიურია მსგავსი სიახლეების დანერგვაში, ძიუდოს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნიდან მიწოდებული ეს წინადადება იქნებ განიხილოს და იქნებ კიდევაც მიიღოს. ამით იგი კიდევ ერთხელ გადაასწრებს სპორტის ყველა სხვა სახეობას.

ჰოდა, რაც შეეხება ლაშა შავდათუაშვილს, – იმედიანი ხუმრობით ვიტყვი – თუ ჩემი ეს წინადადება მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს ან მის შემოღებას მეტი დრო დასჭირდება და ლაშა პარიზის ოლიმპიადაზე ოქროსფერი არშიით ზურგდამშვენებული ვერ გავა, იგი იძულებული იქნება, კიდევ ერთხელ გახდეს ოლიმპიური ჩემპიონი და კიდევ ოთხი წლით დაიბევოს ოქროსფერი არშია!

**P. S. გვიანი მინაწერი:** სამწუხაროდ, ლაშა პარიზის ოლიმპიადას ვერ შეხვდა ჯეროვნად მომზადებული და მისი მეოთხე ოლიმპიადა ფაქტობრივად ჩაუვარდა.

# მთავარი მიზანი – სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება!

## პრემიერ-მინისტრმა სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და თბილისის ახალი სტადიონის კონცეფცია სპორტის საზოგადოებასთან განიხილა

**ქვეყნის მასშტაბით სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა და დედაქალაქში ახალი სტადიონის კონცეფცია განიხილეს მიხეილ მესხის სტადიონზე გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე დედაქალაქის მერ კახა კალაძესთან, სპორტის მინისტრ შალვა გოგოლაძესთან და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ირაკლი ქარსელაძესთან ერთად დაესწრო.**



მრავალფუნქციური სტადიონი, რომელიც 70 000 გულშემატკივარზე იქნება გათვლილი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დედაქალაქის გარეუბანში აშენდება, საქართველოს უმაღლესი რანგის საფეხბურთო, სარაგბო ტურნირების მასპინძლობის შესაძლებლობას მისცემს და სპორტის აღნიშნულ სახეობებში დამატებით ინვესტიციებს მოიზიდავს.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ ახალ სტადიონს მულტიფუნქციური დატვირთვა ექნება, მოეწყობა საკონცერტო და საკონვენციო ინფრასტრუქტურა, რაც ქვეყნის ტურისტულ მიმზიდველობას გაზრდის. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ სპორტის საზოგადოების მოსაზრებებს სტადიონის კონცეფციაზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და აღნიშნული შეხვედრა სწორედ ამას ემსახურება.

**პრემიერ-მინისტრის თქმით, ახალი სტადიონი იქნება ერთგვარი საიმიჯო პროექტი დედაქალაქისა და მთლიანად ქვეყნისთვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც ქვეყანამ გააკეთა განაცხადი ფეხბურთის ჩემპიონთა ლიგის ფინალის მასპინძლობასთან დაკავშირებით.**

**მთავრობას ახალი სტადიონის მშენებლობისთვის საკონსულტაციო მომსახურებას ჰოლანდიური კომპანია გაუწევს. სტადიონის კონცეფციის შექმნაში უეფას ექსპერტები ჩაერთვებიან.**

გარდა ამისა, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქვეყნის მასშტაბით სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობას და ამ კუთხით დაგეგმილ პროექტებს.

მთავრობა ქვეყნის მასშტაბით სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ახალი სტადიონების მშენებლობას 40-ზე მეტ მუნიციპალიტეტში გეგმავს.

# ეს ერთი და სხვა მრავალი

**ხვიჩა კვარაცხელიას მხოლოდ ერთი მატჩი დასჭირდა საიმისოდ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაესახელებინათ.**

პარი სენ-ჟერმენის მაისურით თავისი სადებიუტო შეხვედრის შემდეგ, რომელშიც




კვარამ რეიმსთან **უსმან დემბელეზე** საგოლე გადაცემა შეასრულა (1:1), ლიგა – 1-ის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა ქართველი ვარსკვლავი ელიტურ 11-ულში შეიყვანა:

**მეკარე** – ანტონიო ლოპეში (ნანტი).

**მცველები** – პრემისლავ ფრანკოვსკი, ფაკუნდო მედინა (ორივე – ლანსი), დანტე (ნიცა), ნუნო მენდეში (პსჟ).

**ნახევარმცველები** – დეზირ დუე (პსჟ), ანდრე სანტოსი (სტრასბური), მაგნუს აკლიუში (მონაკო).

**თავდამსხმელები** – უსმან დემბელე, ხვიჩა კვარაცხელია (ორივე – პსჟ), ევიან გესანი (ნიცა).

ასე რომ, **ლუის ენრიკეს** გაწვრთნილი გუნდი 47 ქულით დაუმარცხებლად ლიდერობს სატურნირო ცხრილში და 10 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს – მარსელს, 1 თებერვალს კი სტუმრად ბრესტთან ითამაშებს.

სხვათა შორის, სწორედ ბრესტს შეიძლება შეხვდეს პსჟ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, რომლის წილისყრაც დღეს მოეწყობა. ახალი ფორმატით გამართული პირველი ეტაპის ბოლო ტურში ხვიჩას გარეშე მოთამაშე ფრანგულმა გრანდმა გერმანიაში შტუტგარტი გაანადგურა – 4:1 (**ბარკოლა, დემბელე** – 3) და 13 ქულით მე-15 ადგილი დაიკავა.

ამრიგად, ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მორიგ რაუნდში ავტომატურად დაიჯავშნეს ადგილები ლივერპულმა, ბარსელონამ, არსენალმა, ინტერმა, ატლეტიკომ, ლევერკუზენმა, ლილმა და ასტონ ვილამ, ხოლო ამავე უფლებისთვის დამატებით პლეიოფში იბრძოლებენ ატალანტა, ბორუსია, რეალი, ბაიერნი, მილანი, ეინდჰოვენი, პსჟ, ბენფიკა, მონაკო, ბრესტი, ფეიენოორდი, იუვენტუსი, სელტიკი, სიტი, სპორტინგი და ბრიუგე. სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგის სეზონი ნაადრევად დასრულდა ქართველ ლეგიონერთათვის – **ოთარ კიტეიშვილი** (შტურმი), **ირაკლი აზაროვი** (შახტარი) და **გურამ კაშია** (სლოვანი)

ჯვაროსანთა თემას სასიამოვნო სატრანსფერო სიახლით ამოვწურავთ: ფეხბურთს **ვაკო გვილია** უბრუნდება, რომელმაც თბილისის დინამოსთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ მას ეროვნულ ნაკრებში ჩატარებულ 44 მატჩში 3 გოლი აქვს გატანილი, საკლუბო კარიერაში კი 3-ჯერ პოლონეთისა და 2-ჯერ ბელარუსის ჩემპიონი გახდა

# იქნებ, მეორე ოქრო?..



**ესტონეთის დედაქალაქ ტალინის ყინულზე დაწყებულ ევროპის ჩემპიონატზე ფიგურულ სრიალში დღეს თბილისის დროით 20 საათზე თავისუფალ პროგრამას ქალები შეასრულებენ და სრული საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ საპატიო კვარცხლბეკზე საქართველოს ნაკრების წევრი, 2023-2024 წლებში მსგავსი ფორუმების ოქრო-ვერცხლის მფლობელი ანასტასია გუბანოვა შეაბიჯებს.**

მოკლე პროგრამაში 31-მა სპორტსმენმა იასპარეზა და საუკეთესო შედეგი სწორედ ჩვენმა ტიტულოვანმა წარმომადგენელმა აჩვენა – 68,99 ქულა. მან 37,31 ქულა ტექნიკურ კომპონენტებში დაიმსახურა, ხოლო პროგრამულში – 31,68.

# ავჭალიდან – ავსტრალიისკენ...

**რიჩარდ კოკერილის გაწვრთნილი ბორჯღალოსნები შევარდენის სანაკრებო ბაზაზე შეიკრიბნენ და წლევანდელი რაგბი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება 37-წევრიანი შემადგენლობით დაიწყეს, საიდანაც 22 ლეგიონერია და 15 შავ ლომს წარმოადგენს.**

უკვე გაუწყეთ, რომ გუნდში 8 დებიუტანტია, თუმცა უკანასკნელ მომენტში გამოძახებულთა შორის 2 ცვლილება მოხდა. კერძოდ, პარტნიორებს ვერ შეუერთდა ბრივის ცენტრი **გიორგი შველიძე** და მის ნაცვლად პირველი ქართული ფრანჩაიზის ფულბეკს **ლუკა ცირეკიძეს** უხმეს, ხოლო ამავე კლუბიდან დამატებულმა მეორეხაზელმა **გურამ ღანიაშვილმა** ტრავმირებული მგეზავი **თედო აბჟანდაძე** ჩაანაცვლა.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ პირველ-მეორეადგილოსნები ნახევარფინალში გავლენ და 2027 წლის ავსტრალიის მსოფლიო თასის საგზურსაც მოიპოვებენ, რაგბი ევროპის 16-გზის(!) ტრიუმფატორი ბორჯღალოსნები კი ხვალ 16 საათზე ავჭალაზე დაბიუტანტ შვეიცარიას უმასპინძლებენ, რომელსაც 31 წლის წინათ სტუმრად მძიმე ბრძოლაში 22:21 სძლიეს.




# მფრინავი იოკიჩი და ღია ევროლიგა

**დენვერის ცენტრმა ნიკოლა იოკიჩმა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მატჩში ჩიკაგოსთან პირველ ტაიმში თამაშიდან 10-დან 10 ტყორცნა ჩააგდო და 8 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.**




შედეგად, სერბი ფენომენი ლიგის ისტორიაში პირველი კალათბურთელი გახდა, რომელსაც შეხვედრის საწყის 2 პერიოდში ტყორცნების 100-პროცენტიანი რეალიზაცია 8 ასისტთან ერთად ჰქონდა.

თვით ბრძოლა ხარებმა 129:121 მოიგეს, მისმა გმირმა კი მორიგი სამმაგი დუბლი მიითვალა: 33 ქულა, 12 მოხსნა და 14 ზუსტი პასი.

აქვე საინტერესო ახალ ამბავსაც გაუწყებთ, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფული ყოვლისშემძლეა: დიახ, საუბარია ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ორგანიზატორთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც გვამცნობს, რომ წლევანდელი ევროლიგის ოთხთა ფინალს 23-25 მაისს საუდის არაბეთი უმასპინძლებს.

როგორც მოგეხსენებათ, აქამდე აზიისკენ საფეხბურთო საზღვრები ფართოვდებოდა და აი, ახლა უკვე ქერის ორმოში კალათბურთელებიც ჩავარდებიან.

# მეორედ იბადება



**32 წლის ნიკოლოზ ბასილაშვილმა მონპელიეს პრესტიჟული ტურნირის ძირითადი ბადის სტარტზე ყაზახი მიხეილ კუკუშკინი 3 პარტიაში დაამარცხა – 6:3, 3:6, 5:0 (უარი) და მერვედფინალში კორტის ფრანგ მასპინძელს არტურ რინდერკნეხტს შეხვდება, რომელიც საერთაშორისო რეიტინგში 61-ე ადგილზეა.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველმა ჩოგანმა ბოლოს პორტუგალიაში იასპარეზა, სადაც 50 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა და კლასიფიკაციაში ამჟამად 178-ე პოზიციას იკავებს.

## სულთათანა

# ასეთი კარგი დედა რომ კვდება, იმაზე კარგი ვინ უნდა მოკვდეს!



**უკურნებელმა სენმა, 71 წლის შესანიშნავი ადამიანი – სამაგალითო მეუღლე, დედა, ბებია ნუნუკა ჩუბინიძე შეიწირა.**

„ლამაზ სხეულში, ლამაზი სულიაო“, თუკი ვინმეზე შეიძლება თქმა ერთ-ერთი უპირველესი, ქალბატონი ნუნუკა ჩუბინიძე იყო.

უაღრესად კეთილშობილი, ზნეკეთილი, კაცთმოყვარე, ღვთისმოშიში, თავმდაბალი, მოსიყვარულე მანდილოსანი.

სამაგალითო მეუღლე, „გიჟი“ დედა და ბებია...

ასე სწრაფად მაინც არ ველოდით, დაგვამუნჯა და გაგვყინა მისმა უდროო გარდაცვალებამ...

როდის ან როგორ შეძლო ამდენი სიყვარულის და სითბოს დათესვა და გაცემა, გასაოცარია...

ბევრი რამ შეიძლებოდა გესწავლა ნუნუკა ჩუბინიძისგან, უპირველეს ყოვლისა კი შესანატრი ადამიანური ურთიერთობები.

ოჯახის ნამდვილი ბურჯი გამომეცალაო.... საოცარი ტკივილით ამბობს მისი უერთგულესი მეუღლე ავთანდილ კუჭავა...

მართლაც, არა მარტო საკუთარი ოჯახის, არამედ ყველას შემაკავშირებელი და გამაერთიანებელი იყო მუდამ ღიმილიანი, ყველანაირი სილამაზით შემკობილი, ჩვენი ნუნუკა...

ქალი-სიკეთე, ქალი-ღიმილი, ქალი-დღესასწაული, – ასე ვაფასებთ მისი მეგობრები ნუნუკა ამირანის ასულს.

ვიზიარებო, ასეთი სიტყვა გვაქვს ქართველებს... მაგრამ როდესაც ასეთი გამორჩეული ადამიანები მიდიან, ძნელია, ეს გაიზიარო და ადვილად შეეგუო...

გამძლეობას ვუსურვებთ ნუნუკას გულმოკლულ დედას, ქალბატონ ეთერის, მეუღლეს, სახელოვან შვილებს – კახას და ირაკლის, რძალს, ლიზას, რომელიც შვილივით ყავდა გულში ჩაკრული და... ულამაზეს შვილიშვილებს... ელენეს, ნიკუშას, ანას.

განსაკუთრებული გულითადობით ვუსამძიმრებთ ნუნუკას ერთადერთ ძმას თემურის და მის მრავალშვილიან ოჯახს, რომლებიც ამერიკაში ცხოვრობენ და სასწრაფოდ თბილისში ჩამოფრინდნენ...

მსუბუქი იყოს შენთვის, ძვირფასო ნუნუკა, ქართული მიწა.

**მეგობრები**

# ტრაგედია კერძო ტერიტორიაზე დატრიალდა!

**თბილისში რამდენიმე დღის წინ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც მოზარდი დაიღუპა, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაადასტურეს.**

შემთხვევა მოხდა ე.წ. რიყის დოქების ტერიტორიაზე, სადაც წყალი იყო დაგუბებული.

შემთხვევასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა თბილისის მერიამაც.

„სამწუხაროდ, ტრაგედია დატრიალდა კერძო ტერიტორიაზე არსებულ შენობანაგებობაში. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ შემთხვევა მოხდა ერთ-ერთ კერძო საკუთრებაში.

სამწუხაროა, რომ მედია მსგავს ტრაგედიას იყენებს უწყების დისკრედიტაციისთვის. უბედურ შემთხვევაზე დაწყებულია გამოძიება.

მოვუწოდებთ მედიის წარმომადგენლებს, პატივი სცენ საკუთარ პროფესიას და საზოგადოებას მიაწოდონ მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.

თბილისის მერია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მოზარდის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს“, – ნათქვამია თბილისის მერიის განცხადებაში.

# აშშ-ში ავიაკატასტროფას ვერავინ გადაურჩა...

**ბოლო მონაცემებით, ვაშინგტონში ავიაკატასტროფას ყველა მგზავრი შეეწირა. სამძებრო-სამაშველო ოპერაცია გრძელდება მდინარიდან დაღუპულთა ამოსაყვანად.**



ერთმანეთს American Airlines-ის სამგზავრო თვითმფრინავი და სამხედრო ვერტმფრენი შეეჯახნენ. თვითმფრინავში 60 მგზავრი და ეკიპაჟის 4 წევრი, ვერტმფრენში კი, 3 ჯარისკაცი იმყოფებოდა. ავიაკატასტროფა მაშინ მოხდა, როცა თვითმფრინავი ეშვებოდა.

შეჯახების შემდეგ, ავიალაინერის კორპუსი შუაზე გადატყდა, შემდეგ ორივე საჰაერო ხომალდი მდინარეში ჩავარდა.

როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა: რაც მოხდა, საშინელებაა. „ეს არ უნდა მომხდარიყო“! მან ასევე მადლობა გადაუხადა მაშველებსა და ექიმებს.

## ხსოვნა

# ბორის გადელიას არდავიწყება



**საქართველოს დამსახურებულმა ინჟინერ-მშენებელმა, ღირსების ორდენოსანმა, საკუთარი პროფესიონალიზმით გამორჩეულმა მამულიშვილმა, მაღალი ზნეობისა და ერუდიციის მქონე პიროვნებამ ბორის გადელიამ სამშობლოსა და ხალხის მსახურების უბადლო მაგალითი დატოვა.**

**მას 1 თებერვალს 90 წელი შეუსრულდებოდა...**

დაიბადა 1935 წლის 1 თებერვალს ქ. სენაკში.

სწავლობდა მარტვილის რაიონის სოფელ დიდიჭყონის არასრულ საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1958 წელს.

სტუდენტობიდანვე მუშაობა დაიწყო დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობაში ტექნიკოსად. 1961 წელს ბორის გადელია ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობაზე და პროფესიონალი მშენებელი გახდა.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სხვადასხვა წლებში მუშაობდა გეგეჭკორის (მარტვილის) რაიონის სოფელ დიდიჭყონის, ვედიდკარის და აბაშის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში ინჟინრის, მთავარი ინჟინრის თანამდებობებზე.

1969 წელს ბორის გადელია ცხაკაიას №2 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინრად დაინიშნა.

1974 წლიდან უკვე გამოცდილმა სპეციალისტმა ხობის რაიონში განაგრძო შრომითი საქმიანობა სამშენებელო სამმართველოს უფროსად.

1977 წლიდან ბორის გადელია საცხოვრებლად დედაქალაქში გადავიდა. მაღალკვალიფიციურმა და ენერგიულმა მშენებელმა ქვემო ქართლში, მარნეულში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს №3 სარემონტო სამშენებლო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე გააგრძელა მოღვაწეობა.

ბატონი ბორისი გამოირჩეოდა შესანატრი ადამიანური თვისებებით – მაღალორგანიზებულობით, მომთხოვნელობით, გულისხმიერებით, პრინციპულობით, კოლეგიალობით. იგი გულმოდგინედ ზრუნავდა ქვეყნის კეთილმოწყობა-გალამაზებისთვის,ხარისხიანი ნაგებობების აშენებისთვის. შემდეგ წლებში ბორის გადელია გადაიყვანეს „საქსოფლქიმიის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსად, სადაც მრავალი წლის განმავლობაში იღვწოდა.

მისი შრომითი ბიოგრაფია აღსავსე იყო ძიებებით, მიგნებებით, სიახლეებით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მშენებლის წოდება, მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და მადლობის სიგელი.

ბორის გადელია მრავალშვილიან, უბრალოებით და პატიოსნებით გამორჩეულ კოლხურ ოჯახში აღიზარდა. როგორც ყველაზე უფროსმა შვილმა გონივრულად იზრუნა უმცროსი და-ძმის უმაღლეს განათლებასა და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაზე.

დღეს იულონ გადელიას სახელოვანი შთამომავლები, შვილები და შვილიშვილები ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან უბნებზე ენერგიულად, სახელოვნად მოღვაწეობენ და კეთილსინდისიერად აგრძელებენ საგვარეულო ტრადიციებს.

ბორის გადელია პირადული ინტერესებით არასდროს არ იფარგლებოდა. მთელი შესაძლებლობით ცდილობდა ყოველმხრივ ერგო ქვეყნისთვის. იყო უღალატო მეგობარი, ქველმოქმედი, ადამიანთა ჭირისა და ლხინის გულთან მიმტანი.

ქართული ტრადიციული ოჯახის თავკაცმა მეუღლესთან დინარა კორშიასთან ერთად აღზარდა სამი შვილი და შვილიშვილები.

2011 წლის 4 იანვარს 76 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**კვლავაც ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეეძლო ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეს და გამოცდილ სპეციალისტს, მაგრამ – „სცდების და სცდების სიკვდილსა, ვინც არ მოელის წამისად“!**

**ბორის გადელიას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრების, ოჯახის, მრავალრიცხოვანი ახლობლების და იმ ადამიანთა მეხსიერებაში, რომელთანაც გულითადი მეგობრული და სამსახურებრივი ურთიერთობები** ჰქონდა ამ ღირსეულ კაცს.

**გურამ გუნავა, ბაკურ გულუა, ვახტანგ ყოლბაია, ოთარ ჭითანავა, საველი მარსაგიშვილი, რომან კვაჭაძე, ვიტალი ხაზარაძე, პეტრე ბერაია, ბესო კილასონია, ჯამბულ წულაია, ვახტანგ კიკნაძე, ოთარ ვასაძე, თემურ კალანდაძე, ავთო ბესელია, გურამ ვახტანგიშვილი, ალან თოდუა, სპარტაკ ქობულია.**

# ხანძარს ხანდაზმულის სიცოცხლე შეეწირა

**ზუგდიდში,** აღმაშენებლის ქუჩაზე, საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძარს ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამის შესახებ ინფორმაცია „კვირას“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დაუდასტურეს.

ხანდაზმული კაცი საკუთარ სახლში იმყოფებოდა, როცა ხანძარი გაჩნდა.

მაშველებმა ცეცხლის ლიკვიდირება მოახერხეს, თუმცა მამაკაცი უკვე დაღუპული იყო.

ხანძრის გამომწვევი მიზეზი ამ ეტაპზე უცნობია.



# ვულოცავთ!

მეწარმე, მეცნიერი,პოლიტიკოსი, სამ-გზის მოწვევის პარლამენტარი, ცნობილი მოფარიკავე , აკადემიკოსი

**ზურაბ ცქიტიშვილი იუბილარია!**

შეუსრულდა 84 წელი. ვულოცავთ დაბადების დღეს.

**ი. ოსიპოვი, ა. გოგელია, გ. ცაგარელი, ლ. ჯიბუტი, ზ. კუპარაშვილი**

# ვაჟა — მომავლის პოეტი

**1 თებერვალს, 17 საათზე, ლიტ-ერატურის მუზეუმში, თამაზ ჩხენკელის წიგნის წარდგენა გაიმართება.**

„ვაჟას შემოქმედება ჯერ არ არის საკადრისად შესწავლილი და შეფასებული. ახალ დროში სულ სხვანაირად იკითხება იგი. ვაჟა განუზომლად ახლოს დგას ჩვენთან, ვიდრე მის თანამედროვეებთან, მაგრამ ჩვენთანაც არ დგას ძალიან ახლოს. ვაჟა-ფშაველა მომავლის პოეტია“, – თამაზ ჩხენკელი, „ვაჟა მომავლის პოეტი“, 1980 წ.

როგორც ლიტერატურის მუზეუმის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, 1960-იანი წლებიდან თამაზ ჩხენკელი აქვეყნებდა წერილებს ვაჟა-ფშაველას პოეზიის შესახებ, რომლებიც 1989 წელს ორნაწილიან კვლევად – „წერილები ვაჟაზე“ და „ტრაგიკული ნიღბები“ გამოიცა ერთ კრებულად სათაურით „მშვენიერი მძლევარი“.

„2009 წელს ასევე დაიბეჭდა კვლევა წიგნად „ტრაგიკული ნიღბები“, რომელსაც ერთოდა მერაბ ღაღანიძის სტატია „შეხვედრისა და წვდომის გამოცდილება“ თამაზ ჩხენკელის მიერ შესრულებულ კვლევაზე.

ამჯერად, გამოკვლევას ვაჟა-ფშაველას პოეზიასა და მის მითოსურ საწყისებზე განახლებული სათაურითა და სტრუქტურით წარმოგიდგენთ გამომცემლობა „ინტელექტი“ სერიით „ინტელექტი სკოლას“.

წიგნის დასახელება 1980 წელს გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილის სათაურის იდენტურია, ხოლო განახლებულ გამოცემაში წერილების ავტორისეული თანმიმდევრობა შეცვლილია – თავში მოექცა ის სტატიები, რომლებიც მკითხველს საშუალებას აძლევს მრავალმხრივად გაეცნოს ვაჟას, მის პოეტურ საწყისსა და საზრისს. წიგნის მეორე ნაწილში კი, უკვე გარკვეული დამოკიდებულებითა და კონტექსტებით შეიარაღებული, ჩაუღრმავდეს მის მითოსურ სამყაროს. იმედია, ეს მცდელობა მკითხველისთვის მომხიბლავი და ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი იქნება“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ახალი გამოცემა მოამზადა ნათია ჩხენკელმა. რედაქტორი: ნინო გურასპაული; დამკაბადონებელი: ლიკა სხირტლაძე; გარეკანის დიზაინერი: თეონა ჭანიშვილი.






# უკვდავი გია ყანჩელის საღამო გელოდებათ!

**2 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, თბილისის საკონცერტო დარბაზში ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის მეორე საღამო გაიმართება. როგორც ორგანიზატორის SPARKS-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, მეორე საღამო მსმენელთა თხოვნით ტარდება.**




**I განყოფილება:**

კინოსა და თეატრისთვის შექმნილი მუსიკა;

**II განყოფილება:**

სტიქსი ვიოლას, ორკესტრისა და შერეული გუნდისათვის;

საღამოში მონაწილეობენ: ნიკოლოზ რაჭველი და ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის გოგონათა გუნდი ნინო წიკლაურის ხელმძღვანელობით, ვაჟთა გუნდი „მძლევარი“ კახა ონაშვილის ხელმძღვანელობით.



**31 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის ხსენებას. სულ რამდენიმე წელია, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით საქართველოში თამარობა 31 იანვარსაც აღინიშნება.**

## ივერიის მნათობი

# წმინდა კეთილმსახური თამარი

...მეფე თამარმა ხელისუფლებაში მოსვლა საღმრთო საქმით დაიწყო. ის 18 წლის იყო, როცა მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც შეკრებილ მღვდელმთავრებს და მამათა სიმრავლეს მან მდაბლად მიმართა: „გამოიძიეთ ყოველთა კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განხადეთ გულარძნილნი. იწყეთ ჩემზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის მბრძოლობისა...“

თამარ მეფის დროს აიგო ბერთუბნისა და ბეთანიის მონასტრები, ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი და სხვ.

საგულისხმოა ისიც, რომ იგი მფარველობდა და მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერებსა და ცენტრებს. ამ მოღვაწეობისთვის ქართულმა ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა.

რაც შეეხება თამარ მეფის ფრესკას, რომელიც დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში ჩრდილოეთ კედლის მშვენებაა და ჩვენი მწყემსმთავრის ხელითაა შესრულებული, თაყვანს ვცემთ და ვადიდებთ ქართველები და არა მარტო ქართველები.

**გიული ლიპარტია**

# გორისციხელი პოეტის პატივგება

## ყაზბეგში პოეტ თენგო ავსაჯანიშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა

**ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრში გორისციხელი პოეტის – თენგო ავსაჯანიშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა.**



საღამოზე მოწვეული იყვნენ ცნობილი პოეტები, მოღვაწეები, მეგობრები: მიხეილ თუმანიშვილი, ადამ ბექაური, ტარიელ ხარხელაური, მანანა გელაძე, თამარ შაიშმელაშვილი, მარინა თექთუმანიძე, ქეთევან დოლიძე, გიორგი არჩემაშვილი, რუსუდან გაბროშვილი და სხვები. მათ გაიხსენეს პოეტის ცხოვრება, თენგოს სამშობლოსადმი სიყვარული.ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ: ცენტრთან არსებული ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „დიდება“ და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ერობა“. პოეტის ლექსზე დაწერილი სიმღერა შეასრულა სოლო შემსრულებელმა ნათია ხულელიძემ.

გამომსვლელთა შორის იყო 5 წლის დაჩი ოდიშვილი, რომელმაც წაიკითხა თენგო ავსაჯანიშვილის ლექსი, „ბებერი არწივის ბალადა“.

ღონისძიების დასასრულს, ოჯახს სიმბოლურად გადაეცა ბატონი თენგოს ჯილდოები, რომლებიც განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრში ინახებოდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ტარიელ ხულელიძე, ხევის ეპარქიის მამები, თენგო ავსაჯანიშვილის ოჯახის წევრები.

# 42 მუზეუმი 24 საათში...

## ბრიტანელმა კაცმა გინესის მსოფლიო რეკორდი დაამყარა

**ბრიტანელმა კაცმა გინესის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან 24 საათში 42 მუზეუმი დაათვალიერა, – ინფორმაციას გამოცემა UPI ავრცელებს.**




42 წლის ბენ მელჰემის თქმით, გინესის რეკორდის მოხსნის ინსპირაცია მისი შვილები მატილდა და ჰენრიკი იყვნენ.

„ამ რეკორდზე ფიქრი ჩემს შვილებთან საუბრისას დაიწყო, როდესაც ერთად გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნს ვკითხულობდით. ვიფიქრეთ რამდენად რთული უნდა ყოფილიყო მსოფლიო რეკორდის დამყარება“, – განაცხადა მელჰემმა.

მელჰემი შვილებთან ერთად 42-დან რამდენიმე მუზეუმს ესტუმრა, შემდეგ კი, სხვა მუზეუმებს მარტო ეწვია. რეკორდსმენმა აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტისთვის ლონდონი იდეალური ქალაქია.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,
არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 3 თებერვალს**